დანართი *N5*

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - აზა ადამიას სახელობის ქალაქ მარტვილის N2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
ა) ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ წიწიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მაია ფხაკაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე ჟვანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარინე შანშიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) შოთა მაღლაკელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) სალომე გოგალაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ფერიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ინგა ანდიაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - აზა ადამიას სახელობის ქალაქ მარტვილის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235446308

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. მარტვილი
იურიდიული მისამართი	ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ. N13
ფაქტობრივი მისამართი	ქ. მარტვილი, თავისუფლების ქ. N 13
საფოსტო ინდექსი	3100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Martvili2@mes.gov.ge

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	Mes 925 0000710757, 19/06/2025წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17-18 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ. მარტვილი თავისუფლების 13, შენობა-ნაგებობის რაოდენობა 1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქ. მარტვილი თავისუფლების 13, შენობა-ნაგებობის რაოდენობა 1

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქ. მარტვილი თავისუფლების 13, შენობა-ნაგებობის რაოდენობა 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ- აზა ადამიას სახელობის ქ. მარტვილის N2 საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17-18 ივლისს. ვიზიტამდე დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების კითხვარზე დართული დოკუმენტაცია. ვადების დაცვით გამოგზავნა ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი დამატებითი მტკიცებულებები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მისცა გაცნობოდა აღნიშნულ დოკუმენტაციას.
საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდ გარემოში წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს გადმოგზავნილი მასალები. შედგა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. განხორციელდა სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანამშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სსიპ-აზა ადამიას სახელობის ქ. მარტვილის N2 საჯარო სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივმა ექსპერტებმა მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.
დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა უზრუნველყო საფეხურზე შემავალი საგნების შეფასების რევიზია. შეისწავლა ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმები და საჭიროებისამებრ მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან, ერთდროულად წარმართეს ინტერვიუირების პროცესი, იმოქმედეს შეთანხმებულად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა
გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)

მოსწავლეთა რაოდენობა: 300 (ორ ცვლაში)	☒ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრული შესაბამისობა;
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრული შესაბამისობა.
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრული შესაბამისობა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)1

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 08.08. 2026 წლამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივიN 41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისად უზრუნველყოს ექიმის აყვანა.
ინდიკატორიN3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას.მათ სორის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 18.07.2026 წლამდე უზრუნველყოს 1. საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება. 2.უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენა	უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის მოპოვება. 3. სკოლის ეზოს კეთილმოწყობითი სამუშაოები დასრულების და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
ინდიკატორი 3.5.1.1.		სკოლას მიეცა რეკომენდაცია 18.07.2026წ. უზრუნველყოს სკოლის ექსპლუატაციაში შესვლა და საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	რჩევა
ინდიკატორი N....		.....

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	რჩევა
3.4.1.1.	ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიღება.
3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას	რჩევა: სამედიცინო კაბინეტში დამონტაჟდეს ნიჟარა.
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.	სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის აყვანის შესახებ.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)**	რჩევა
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა, მიზნობრივია, რომ სასწავლო წლის დასაწყისში გადახედონ კურიკულუმებს, საჭიროების შემთხვევაშ შეიტანონ ცვლილებები წინა სასწავლო წლის გამოცდილების შესაბამისად.
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო-კურიკულუმებს სრულად განახლდეს განხორციელებული შემოქმედებითი დავალების აქტივობები, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სასწავლო პროცესს.

2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	დაწყებით საფეხურზე შემუშავებულ ყველა ჩარჩო-კურიკულუმში ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელო) მიეთითოს სრულად: ავტორები, გამომცემლობა, პარაგრაფები და გვერდები (მაგ.: მე და საზოგადოება მე-3 კლასი; მოქალაქეობა მე-7, 8, 9, 10, 11 კლასები; გეოგრაფია მე-7, 8, 9, 12 კლასები);
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	• უმჯობესია, დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალ საგნებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია), ყველა თემაში (თემის მოცულობიდან გამომდინარე 2-3 და მეტიც) შემუშავებული იყოს განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. • დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში და V კლასის პირველ სემესტრში განმავითარებელი, ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურზე და დაწყებით საფეხურზე V კლასის მეორე სემესტრში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები, ანუ რის მიღწევა უნდა შეძლოს მოსწავლემ თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.
2.2	**კურიკულუმის განხორციელება**	

2.2.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია, სასწავლო პროექტები დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტეგრირებულად სხვადასხვა საგნებთან საერთო თემატიკის გათვალისწინებით. ასეთია მაგალითად სამოქალაქო განათლების სასწავლო პროექტი „ადიქცია“, რომლის ინტეგრირება ბიოლოგიასთან ხელს შეუყობს, როგორც სასკოლო კურუკულუმის პრონციპებისა და მოთხოვნების დაკმაყობილებას, ასევე მოსწავლეთა შემეცნების გაზრდას და მათი მხრიდან სხვადასხვა კუთხით დანახვას ამა თუ იმ პრობლემისას და მისი გადაჭრის გზების დასახვას. სასურველია, გაკვეთილის პროცესის ანალიზი განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტიანობის უფრო სრულყოფილ შეფასებას.
2.2.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია, შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები მეტი სიხშირით იყოს დაკონკრეტებული დასამუშავებელი თემა/საკითხის, სამიზნე ცნებების შესაბამისად. შეფასების მოდელი სრულად შეესაბამებ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს. მოსწავლეთა მიღწევების განსაზღვრისთვის გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმატი, მათ შორის ზეპირი, პრაქტიკული, რეფლექსიური და შემოქმედებითი მიდგომები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა გამოირჩევა ვალიდურობით, გამჭვირვალობით, ობიექტურობით, სანდოობითა და სამართლიანობით რჩევა: მიზანშეწონილია, ყველა პედაგოგმა მოსწავლეებს დროულად და დეტალურად გააცნოს შეფასების კრიტერიუმები, ასევე ხელი შეუწყოს

		მათ ჩართულობას ურთიერთშეფასების პროცესში, რაც განამტკიცებს შეფასების გააზრებულობასა და სწავლაზე ორიენტირებულობას.
2.2.2.	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით	
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სასურველია, მეტი დამატებითი რესურსები იქნას შერჩეული ამა თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებისთვის, რაც გაზრდის მოსწავლეთა ცნობიერების სფეროს და გაზრდის ასევე მათ მოტივაციას. სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი საქმიანობის მრავალფეროვნებასა და განვითარებას.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის N1 ოქმს დანართის სახით ახლდეს გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამატებითი რესურსების ჩამონათვალი საგნებისა და საფეხურის მიხედვით.
	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	• სასურველია, საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო-კურიკულუმებს სრულად ახლდეს განხორციელებული შემოქმედებითი დავალების აქტივობები, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სასწავლო პროცესს.

		• მომავალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყონ სამიზნე ცნებების სწორი ტერმინოლოგიით გაწერა გერმანული ენის კურიკულუმებში (ტექსტი/ ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები; კულტურათა დიალოგი), ხოლო მე-12 კლასის კურიკულუმში გაითვალისწინონ, რომ ვინაიდან თითოეულ თემატურ ერთეულში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის გრაფაში უნდა გაიწეროს ასევე ყველა სამიზნე ცნება.
2.1.2.2	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საბაზო საფეხურზე შემუშავებულ ყველა ჩარჩო-კურიკულუმში ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელო) მიეთითოს სრულად: ავტორები, გამომცემლობა, პარაგრაფები და გვერდები (მაგ.: მე და საზოგადოება მე-3 კლასი; მოქალაქეობა მე-7, 8, 9, 10, 11 კლასები; გეოგრაფია მე-7, 8, 9, 12 კლასები);
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	უმჯობესია, ასევე საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალ საგნებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია), ყველა თემაში (თემის მოცულობიდან გამომდინარე 2-3 და მეტიც) შემუშავებული იყოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. შეფასება არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის აღრიცხვით, არამედ მოიცავდეს მოსწავლის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას, აქტიურ მონაწილეობასა და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხს.

		განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეფასების ფორმატში უწყვეტი უკუკავშირის, თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების ინტეგრაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის თვითრეფლექსიას და სწავლის პროცესის განმტკიცებას.
2.2	კურიკულუმის განხორციელება	
2.2.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია სასწავლო პროექტები დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტეგრირებულად სხვადასხვა საგნებთან საერთო თემატიკის გათვალისწინებით. ასეთია მაგალითად სამოქალაქო განათლების სასწავლო პროექტი „ადიქცია“, რომლის ინტეგრირება ბიოლოგიასთან ხელს შეუყობს, როგორც სასკოლო კურუკულუმის პრონციპებისა და მოთხოვნების დაკმაყობილებას, ასევე მოსწავლეთა შემეცნების გაზრდას და მათი მხრიდან სხვადასხვა კუთხით დანახვას ამა თუ იმ პრობლემისას და მისი გადაჭრის გზების დასახვას. სასურველია, გაკვეთილის პროცესის ანალიზი განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტიანობის უფრო სრულყოფილ შეფასებას.
2.2.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია, შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები მეტი სიხშირით იყოს დაკონკრეტებული დასამუშავებელი თემა/საკითხის, სამიზნე ცნებების შესაბამისად. შეფასების მოდელი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს. მოსწავლეთა მიღწევების განსაზღვრისთვის გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმატი, მათ შორის ზეპირი, პრაქტიკული, რეფლექსიური და შემოქმედებითი

		მიდგომები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა გამოირჩევა ვალიდურობით, გამჭვირვალობით, ობიექტურობით, სანდოობითა და სამართლიანობით. რჩევა: მიზანშეწონილია, ყველა პედაგოგმა მოსწავლეებს დროულად და დეტალურად გააცნოს შეფასების კრიტერიუმები, ასევე ხელი შეუწყოს მათ ჩართულობას ურთიერთშეფასების პროცესში, რაც განამტკიცებს შეფასების გააზრებულობასა და სწავლაზე ორიენტირებულობას.
2.2.2	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით	
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სასურველია, მეტი დამატებითი რესურსები იქნას შერჩეული ამა თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებისთვის, რაც გაზრდის მოსწავლეთა ცნობიერების სფეროს და გაზრდის ასევე მათ მოტივაციას. სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი საქმიანობის მრავალფეროვნებასა და განვითარებას.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის N1 ოქმს დანართის სახით ახლდეს გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამატებითი რესურსების ჩამონათვალი საგნებისა და საფეხურის მიხედვით.
	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	• სასურველია, საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო-კურიკულუმებს სრულად ახლდეს განხორციელებული

		შემოქმედებითი დავალების აქტივობები, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სასწავლო პროცესს.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საშუალო საფეხურზე შემუშავებულ ყველა ჩარჩო-კურიკულუმში ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელო) მიეთითოს სრულად: ავტორები, გამომცემლობა, პარაგრაფები და გვერდები (მაგ.: მე და საზოგადოება მე-3 კლასი; მოქალაქეობა მე-7, 8, 9, 10, 11 კლასები; გეოგრაფია მე-7, 8, 9, 12 კლასები);
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	უმჯობესია, საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალ საგნებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია), ყველა თემაში (თემის მოცულობიდან გამომდინარე 2-3 და მეტიც) შემუშავებული იყოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სამიზნე ცნებებთან მიმართებით.
2.2	კურიკულუმის განხორციელება	
2.2.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია, სასწავლო პროექტები დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტეგრირებულად სხვადასხვა საგნებთან საერთო თემატიკის გათვალისწინებით. ასეთია მაგალითად სამოქალაქო განათლების სასწავლო პროექტი „ადიქცია“, რომლის ინტეგრირება ბიოლოგიასთან ხელს შეუყობს, როგორც სასკოლო კურუკულუმის პრონციპებისა და მოთხოვნების დაკმაყობილებას, ასევე მოსწავლეთა შემეცნების გაზრდას და მათი მხრიდან სხვადასხვა კუთხით დანახვას ამა თუ იმ პრობლემისას და მისი გადაჭრის გზების დასახვას.

		სასურველია, გაკვეთილის პროცესის ანალიზი განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტიანობის უფრო სრულყოფილ შეფასებას.
2.2.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალ სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია, შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები მეტი სიხშირით იყოს დაკონკრეტებული დასამუშავებელი თემა/საკითხის, სამიზნე ცნებების შესაბამისად. შეფასების მოდელი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს. მოსწავლეთა მიღწევების განსაზღვრისთვის გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმატი, მათ შორის ზეპირი, პრაქტიკული, რეფლექსიური და შემოქმედებითი მიდგომები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა გამოირჩევა ვალიდურობით, გამჭვირვალობით, ობიექტურობით, სანდოობითა და სამართლიანობით. რჩევა: მიზანშეწონილია, ყველა პედაგოგმა მოსწავლეებს დროულად და დეტალურად გააცნოს შეფასების კრიტერიუმები, ასევე ხელი შეუწყოს მათ ჩართულობას ურთიერთშეფასების პროცესში, რაც განამტკიცებს შეფასების გააზრებულობასა და სწავლაზე ორიენტირებულობას.
2.2.2	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით	
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სასურველია, მეტი დამატებითი რესურსები იქნას შერჩეული ამა თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებისთვის, რაც გაზრდის მოსწავლეთა ცნობიერების სფეროს და გაზრდის ასევე მათ მოტივაციას.

		სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი საქმიანობის მრავალფეროვნებასა და განვითარებას.
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის N1 ოქმს დანართის სახით ახლდეს გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამატებითი რესურსების ჩამონათვალი საგნებისა და საფეხურის მიხედვით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც -„არ შეესაბამება“ (3.1.2.4. 3.4.1.1. 3.5.1.1.) ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ხოლო ინდიკატორი 3.1.2.3. შეფასებული იყო,როგორც „არ შეესაბამება“ და შეფასდა როგორც „შესაბამისი.“ სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - აზა ადამიას სახელობის ქ. მარტვილის N2 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია თავისუფალი, მრავალმხრივ განვითარებული,

განათლების მაღალი ხარისხის მქონე, ტოლერანტი მოქალაქის აღზრდაზე. სკოლის მისიის მიზანია - თავისუფალი, მრავალხმრივ განვითარებული, განათლების მაღალი ხარისხის მქონე, კონკურენტუნარიანი, ტოლერანტი მოქალაქის აღზრდა, განუვითაროს მოსწავლე-ახალგაზრდობას საკუთარი შესაძლებლობებისა სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრის უნარი. ხედვაა -სკოლამ ჩამოაყალიბოს უსაფრთხო გარემო, სადაც ყველა ბავშვი გრძნობს, რომ აფასებენ და პატივს სცემენ. თითოეულ მოსწავლეს განუვითარდეს სწავლის ცნობისმოყვარეობა, აღმოაჩინონ საკუთარი ინტერესები და გაიზარდონ სწავლის სიყვარული. სკოლა წარმოადგენს სივრცეს, რომელშიც მუდმივად ხდება ცოდნის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მხარდასაჭერად. სკოლა ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე: სიყვარული, პატრიოტიზმი, ტოლერანტობა, აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შესაბამისია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნების.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის ფილოსოფიის შესაბამისად, სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული გარემო მოსწავლისათვის, მასწავლებლისა და მშობლისათვის. სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე. სასწავლო პროცესში გათვალისწინებული და პრიორიტეტულია მოსწავლის ინტერესი და უკუკავშირი, მიღებულია მათი წინადადებები და განსხვავებული მოსაზრებები. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, სასწავლო და სოციალური პროექტები სასკოლო საზოგადოების ინიციატივითა და აქტიური ჩართულობით. სკოლის მისიასა და ხედვაში გაცხადებული მიზნები სასკოლო საზოგადოებას უქმნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების განცდას. სკოლაში შეთანხმებულად ზრუნავენ მოსწავლის უწყვეტ განვითარებაზე. სკოლა წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს, სადაც აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეები, მშობლები და თემის წევრები; სკოლაში იმართება კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ თემის წარმომადგენლები. სკოლა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის უზრუნველყოფს განათლების მიღების და შესაძლებლობების გამოვლენის თანაბარ პირობას. სკოლას აქვს სრული მხარდაჭერა, როგორც
მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსების კუთხით, რაც მას საშუალებას აძლევს სკოლის მისისა და და ხედვის შესრულება გახადოს რეალისტური.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დირექტორის 2025 წლის 05.02 N2-04 ბრძანებით შეიქმნა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულების და სტრატეგიული გეგმების გადასინჯვის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. ბრძანების შესაბამისად, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელები სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ ონლაინ გამოკითხვასა და პირისპირ ფორმატის საშუალებით. სკოლამ ასევე წარმოადგინა სამუშო ჯგუფის შეხვედრების ოქმი, სადაც განხილულია სკოლის ფილოსოფიის პროექტი, აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა დასტურდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისიის, ხედვის პროექტი განთავსებული იყო სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში, განიხილეს სამუშაო შეხვედრებსა და მშობელთა კრებებზე, პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შემუშავდა მისიის, ხედვის და ღირებულებების საბოლოო ვერსია, რაც წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლის ფილოსოფია განთავსებულია სკოლის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზიარების თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია თუ როგორ იზიარებს მისიაში გამოცხადებულ მიმართულებებს სკოლის თანამშრომლები და როგორ ცოცხლდება ის ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში. ამის გათვალისწინებით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობები და სკოლის ყოველდღიური საქმიანობა გამომდინარეობს სკოლის ხედვის, მისიისა და ღირებულებებისგან, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უნარ- ჩვევებს და მიმართულია მოსწავლეთა შორის თანასწორობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე skolebi.emis.ge, ასევე განთავსებულია სკოლის შესასვლელში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმის საჯაროობა, რომლის შემადგენილი ნაწილიც არის მისია, ხედვა და ღირებულებები. სასკოლო სასწავლო გეგმა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის პედაგოგები და დირექცია აჟღერებენ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს სასკოლო ღონისძიებებზე. სკოლის ფილოსოფია საჯარო და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 28 ოქტომბრის N933 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა სსიპ - აზა ადამიას სახელობის ქ. მარტვილის N2 საჯარო სკოლა. იგი შეესაბამება სკოლის სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმა
2.სტრატეგიული განვითარების გეგმა
3.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
4.მისია, ხედვა, ღირებულებები
5.სოციალური გვერდი
6.საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N933 28.10.2009(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ)
7.სამეურვეო საბჭოს ოქმი
8.პედსაბჭოს ოქმი

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არის სასკოლო საზოგადოება (სკოლის დირექცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინება, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებსა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებსა და პროცესში მათ ჩართულობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი. ის შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებს და გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან. კერძოდ:
სკოლის სტრატეგიული მიზნები/მიმართულებებია:

- სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზება
- ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება სრულად.
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული ზრდის ამაღლება.
- ორგანიზაციული განვითარება.

გეგმაში ასახულია მიზნების მისაღწევი ამოცანები, გეგმის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი პუნქტებით: ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, მისია, ხედვა, ღირებულებები, SWOT ანალიზი, მასზე დაფუძნებული იდენტიფიცირებული სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები, მათი აღწერა და თითოეული მიზნისთვის შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა, რაც ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025 სასწავლო წლის, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე, იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. სკოლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების

მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, წარმოდგენილია შესრულების ინდიკატორები. სტრატეგიული მიზნის შესაბამისად გაწერილია აქტივობების რეალისტური განხორციელების პერიოდი, შეფასების ინდიკატორები, რაც თვალსაჩინოს ხდის რამდენად შესრულდა კონკრეტული ამოცანა, ასევე გაწერილია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია ამოცანისა და აქტივობის შესაბამისი პირები მაგალითად: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სამეურვეო საბჭო, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი და სხვა. ასევე განსაზღვრულია შეფასების წყაროები, შეფასებისთვის პოტენციურად გამოსაყენებული დოკუმენტი, ცნობა, ოქმი, ანგარიში, სტატია და ა.შ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმა
2.სტრატეგიული განვითარების გეგმა
3.სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; აღნიშნული დოკუმენტის მე-12 მუხლით გათვალისწინებულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ხდება წელიწადში მინიმუმ ერთჯერ სკოლის დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, მოცემული ინდიკატორი არ შეფასდა.

3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, მოცემული ინდიკატორი არ შეფასდა.

4. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, მოცემული ინდიკატორი არ შეფასდა

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია,

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - აზა ადამიას სახელობის ქ. მარტვილის N 2 საჯარო სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი, სადაც გაწერილია თითოეული თანამდებობის ფუნქცია - მოვალეობა. საშტატო განრიგის შესაბამისად, დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 33 პედაგოგი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სპეციალური მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებლის ასისტენტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, 3 დარაჯი, 3 დამლაგებელი,
1 მუშა. სკოლაში შექმნილია პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი. სკოლას პერსონალი შერჩეული ჰყავს ,,ზოგადი განათლების შესახებ '' საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის საშტატო განრიგით, სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis) ასახული პერსონალისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზით, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სტურქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების შესწავლით, დასტურდება, რომ სკოლის სრუქტურული ერთეულების/პირებს შორის ფუნქციები და ვალდებულებების განაწილება უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა სკოლის მისიის შესრულებას ემსახურება. სტრუქტურული ერთეულები/პირები ურთიერთანამშრომლობით არეგულირებენ სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და შეიმუშავებენ სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. სკოლა იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპებს. ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში თანამშრომლები წარმოადგენდნენ არსებულ მოთხოვნილ დოკუმენტაციას და ექსპერტებს გვაძლევდნენ კითხვის შესაბამის პასუხებს. სასკოლო საზოგადოების წევრები იაზრებდნენ ფუნქციებს სკოლის მთლიანი საგანმანათლებლო საქმიანობის კონტექსტში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.შინაგანაწესი;
2. სამოქმედო გეგმა;
3. სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქცია მოვალეობები.
4.ემისის ბაზის მონაცემები
5. თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
6.პირადი საქმეები;
7.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას.

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მორგებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაარსს. დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და გამოყენების სფეროს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების ღირებულებებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, სამუშაო აღწერილობებს, კადრების მოზიდვა/შერჩევას, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები, ასევე, წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, დოკუმენტები ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/ნ ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტებს შესაბამისად .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია ის საკითხები, რომლებიც აუცილებელია პროცესების ეფექტური ფუნქციონირებისათვის; აღსანიშნავია, რომ სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?
- საჭიროებების მიხედვით ხდება სკოლის ახალი კადრებით უზრუნველყოფა. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა საჭიროების მიხედვით აცხადებს კონკურს კადრების შერჩევის მიზნით.

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (02.11.2020 წ. ბრძანება N1/კ-31), რომლის ფუნქციაა მასწავლებელთა შიდა შეფასება, პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების განხილვა,

მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვება და უკუკავშირის მიცემა. სკოლა გამოვლენილი საჭიროების პერსონალის მართვის პროცესები სკოლაში რეგულირდება სკოლის შინაგანაწესითა და პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. ხელშეკრულებებში გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები და მას ხელმოწერით ადასტურებს როგორც დამსაქმებელი, ასევე დასაქმებული. ხელშეკრულებები გატარებულია ჟურნალში და ინახება შესაბამისი წესით. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და დასაქმებულთა მიერ შინაგანაწესის გაცნობა დასტურდება შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში მასწავლებელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კონკურსი ცხადდება ღიად და გამჭვირვალედ. თუ სკოლას არ ჰყავს შიდა კადრი ამ შემთხვევაში ცხადდება ღია კონკურსი. სკოლის დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საკონკურსო კომისიას განცხადება განთავსდება www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახულია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს და ქმნის თანამშრომელთა პირად საქმეებს. თანამშრომელთა პირად საქმეებში ძირითადად წარმოდგენილი იყო ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლობის შესახებ და 2020 წლიდან დასაქმებულებს უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლის რამდენიმე თანამშრომელს, რომელიც 2020 წლის შემდგომ იქნა დასაქმებული, არ ჰქონდა წარმოდგენილი აღნიშნული ცნობები. **თუმცა სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლის ყველა თანამშრომელმა უზრუნველყო აღნიშნული ცნობების წარმოდგენა. შესაბამისად,**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პირთან. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საქართველოს

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.ყველა მასწავლებელს და ტექნიკურ თანამშრომლებს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია: შემუშავებულია დოკუმენტი სტრუქტურული ერთეულების/ პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია- მოვალეობები, სადაც დეტალურადაა განხილული თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლაში არის 33 მასწავლებელი, აქედან მენტორის სტატუსის მქონე-1, წამყვანი-4, 25-უფროსი სტატუსის მქონე და 3 - მოწვეული. სკოლაში დასაქმებულია ექიმი, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
რეკომენდაცია: სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 08.08.2026 წლამდე უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაციის ექიმის აყვანა.
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ გადაწყვეტილებები სკოლაში მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სკოლაში არის კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვის მიმართულებით აქტივობები. პერსონალის მართვისას განსაკუთრებული

ყურადღება ექცევა გუნდური და თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან საკონკურსო კომისიებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის შინაგანაწესის (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ სხდომის N2 2024წლის 5სექტემბერი) მე-10 მუხლის შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარამტებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შეესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, სკოლა დასაქმებულთა მიმართ იყენებს წახალისების ფორმებს:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლები ხშირად წარმოადგენენ საკუთარი გამოცდილებას სამუშაო შეხვედრების დროს. საკუთარი მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების წარდგნის, პრეზენტაციის გამოფენის შედეგად ყოველთვის აკეთებენ ანალიზს და აღნიშნავენ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
  1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
  2. შინაგანაწესი
  3. ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
  4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
  5. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

  ☐ შეესაბამება
  ☒ მეტწილად შეესაბამება
  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შეიძლება არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშვებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას (მუხლი 20). აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლა პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ისე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლა აყალიბებს პერსონალის განვითარებას შემდეგ პრინციპებზე: მოქნილობა, სწავლის მხარდაჭერა, შეფასება, როგორც საშუალება, პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების წევრები ეხმარებიან კოლეგებს საჭიროების დადგენაში, წინსვლასა და განვითარებაში. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებს. ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას ტრენინგებისა და კონფერენციების შესახებ. მონაწილეობენ არა მხოლოდ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებსა და კონფერენციებში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად (შესაძლოა
არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. სკოლა ქმნის სასკოლო საზოგადოების უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. მასწავლებლები საჭიროების შესაბამისად მონაწილეობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. ადმინისტრაცია რეგულარულად ესწრება ტრენინგებს. ინგლისურის მასწავლებლები დაესწრნენ მშვიდობის კორპუსის მიერ დაგეგმილ ტრენინგს. მასწავლებლები რ ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე, ამისათვის მათ აქვთ სკოლის სრული მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობაში, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის დანერგვაში, რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო ჯგუფების ორგანიზებაში. პერსონალის პირად საქმეებში იყო სხვადასხვა ტრენინგის დამადასტურებლი სერტიფიკატები. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს ხელი შეუწყოს ასევე ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარს და პროფესიულ კურსებს.

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მართავს პერსონალთან (მასწავლებლებთან) სამუშაო შეხვედრებს, სადაც ხდება საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა. პერსონალი ავსებს სემესტრულად თვითშეფასების ფორმას და გაწეული სამუშაოს ანგარიშს. ანალიზის შედეგად მუშავდება პროფესიული მხარდაჭერის გეგმა, რომელიც აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები, ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციის მიზნით თანამშრომელთა ვალდებულებები.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალი თანამშრომლები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებს, რაც უმარტივებს მათ სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს. აღნიშნულ პროცესებში განსაკუთრებული როლი აქვთ სკოლის დირექციას, კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს. ხდება მათი წარდგენა სასკოლო საზოგადოების წინაშე (პედსაბჭო, მოსწავლეების, მშობლების). სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელშიც გაწერილია სკოლის მხრიდან შესაბამისი ვალდებულებები, (სკოლა ვალდებულია დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის

აუცილებელი პირობები და უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო გარემოთი), წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით დასტურდება, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების რეალიზებაში. ამისათვის სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებითა და სათანადო პირობებით. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და ურთიერთთანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ და საჭირო ტრენიგ-მოდულებზე, ასევე სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილი სხვადასხვა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო აქტივობების განხორციელება, კერძოდ, შიდა კონფერენციები, პროექტები, ურთიერთდასრებები და კათედრების აქტიური თანამშრომლობა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
2.შინაგანაწესი
3.ხარისხის განვითარების ჯგუფის სხდომათა ოქმები.
4.ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. მიმდინარე პროცესების შეფასება ხორციელდება ხარისხის მართვის ერთ-ერთი გავრცელებული ციკლის (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე)

მიხედვით. მაგალითად, შემუშავებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და გათვალისწინებულია მათი შესრულების მონიტორინგი და მომავალ დაგეგმვაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება და რევიზია.

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე მუშაობენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს და მათზე დაყრდნობით წარმართავენ სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროცესები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და

დამხმარე პროცესები; სკოლის ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად.

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში გაწერილია: მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა. ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოება და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ - აზა ადამიას სახელობის ქ. მარტვილის N2 საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლობის, მოსწავლეების/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, რაც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა (მუხლი22) და დოკუმენტში - გასაჩივრების დეტალური პროცედურები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N-2-25 11.07.2025წ. ასევე გაწერილია ვადები და პროცედურები. სკოლის თანამშრომლებს, მოსწავლესა თუ მშობელს/კანონიერ წარმომადგემელს აქვს უფლება აქვს გაასაჩივროს სკოლის გადაწყვეტილება. ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში პერსონალის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის მექანიზმი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ N2 სხდომის ოქმი 05. 09.2024წ), სადაც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. ასევე დაცვის მექანიზმები განისაზღვრება თანამშრომელსა და სკოლას, მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულებებით. სკოლაში გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზები, დამტკიცებული დირექტორის ბრძანება N2-1/გ. 23.01.2025წ, სადაც გაწერილია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, კერძოდ, მონაცემთა სუბიექტის

უფლებები, მონაცემთა შენახვა, უსაფრთხოება და ა.შ. სკოლას ჰყავს 2 მანდატური, დისციპლინარული კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო, რომელთა ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მოსწავლეებისა და პერსონალის უფლებების დაცვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის შინაგანაწესი.
2.გასაჩივრების მექანიზმები.
3.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
4.მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.
5.პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას სკოლა ახოციელებს შეხვედრებით სტრუქტურულ ერთეულებთან: პედაგოგიურ კოლექტივთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, მშობლებთან, იღებენ მათგან უკუკავშირს და ახდენენ შესაბამის რეაგირებას. ამ მიზნით იყენებენ ელექტრონულ ჟურნალს, Microsoft Teams - ის პლატფორმას, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს. მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში

გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ. სკოლა მუდმივად ცდილობს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სასკოლო საზოგადოება ჩართულია სკოლის მართვის პროცესში. ეს ჩართულობა გამოიხატება მისი წევრების მონაწილეობით სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სამეურვეო საბჭოს არჩეული წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის მართვის პროცესში. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და ტექნიკურ პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის გამარტივებასა და საჭირო ინფორმაციის დროულად ურთიერთგაცვლასა და მიწოდებას. სკოლის პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილეობით და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. სამეურვეო საბჭო თავის მხრივ ითანხმებს პედაგოგიური საბჭოს მიერ წარდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს, ამტკიცებს შინაგანაწესს და მასში შესატან ცვლილებებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე მეტყველებს ასევე ის ფაქტი, რომ სკოლის დირექტორის მიერ მისია, ხედვა, ღირებულებებზე, სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გემაზე მომუშავე ჯგუფი დაკომპლექტებულია მშობელთა მონაწილეობით. მშობლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ღონისძიებებისა და ექსკურსიების ორგანიზებაში. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. მშობელთა კრების ოქმი
2. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.
3.დისციპლინური კომიტეტის დებულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლას ჰყავს 2 მანდატური, საშტატო განრიგით განსაზღვრულია დარაჯი (1). ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლის შენობის შემოსასვლელი კონტროლდება დარაჯების მიერ. მიმდინარეობს ვიზიტორთა აღრიცხვა. ასევე სკოლას ჰყავს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამით დასაქმებული კარისკაცი. სკოლა აღჭურვილია ვიდეო სათვალთავლო კამერებით, რომლებიც აკონტროლებს სკოლის გარე და შიდა პერიმეტრს. გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია -18, ხოლო სკოლის შენობაში-13 ვიდეო-კამერა. შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი, მასწავლებლები მუდმივად აკონტროლებენ დერეფანში მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი (ბრძ. N2-15 2019წ.) სკოლის შინაგანაწესში გაწერილია უსაფრთხოების რეგულაციები. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, დარღვევებზე ეფექტური რეაგირება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლას არ ქონდა დასკვნა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა წერილით (N 890858. 18/07/2025წ) მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონალურ სამმართველოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. უნდა ითქვას, რომ სკოლის შენობას ჩაუტარდა

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრული რეაბილიტაცია, თუმცა ჯერ კიდევ ამ დროისთვის არ არის დასრულებული ეზოს კეთილმოწყობა, რაც გადაადგილებისთვის საფრთხის შემცველია. სკოლას არ აქვს საქართველოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლის დირექტორმა წერილით (N 890858. 18/07/2025წ) მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონალურ სამმართველოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ასევე, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმართა სკოლამ ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნულ ბიუროს შენობის ტექნიკური მდგომარეობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების(მდგრადობის) შემოწმების მიზნით (N885423, 17/07/2025წ). არგუმენტირებული პასუხით სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება საექსპერტო მომსახურეობის შესახებ გაფორმებული ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნულ ბიუროსთან შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 18.07.2026წ. უზრუნველყოს :

1. საქართველოს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.

2. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნის მიღება.

3. სკოლის ეზო კეთილმოწყობითი სამუშაოების დასრულების და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიღება.

ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სამედიცინო კაბინეტში არ არის სველი წერტილი ნიჟარით. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, მაცივარი,

გადასატანი/მობილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტების რაოდენობა. სკოლას აქვს პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამყოფი შირმა. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავს 1 ექიმი, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება აღნიშნულ ბრძანების შესაბამის მოთხოვნას. სკოლას აქვს ექიმის მიერ წარმოებული სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ-ით განსაზღვრული ფორმების შესაბამისად.

სკოლას აქვს დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმები.

რჩევა: სასურველია, სკოლამ სამედიცინო კაბინეტში უზრუნველყოს ნიჟარის დამონტაჟება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, რისთვისაც სკოლაში მუშაობს -2 მანდატური. სკოლა ხელმძღვანელობს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება, საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები და მორიგე პედაგოგები. უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული - მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა.

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელზეც სისტემატურად მუშაობენ კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. კლასის დამრიგებლები, სპეცმასწავლებელი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მუდმივად ზრუნავენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. ასევე, სკოლის ექიმი ხშირად ესაუბრება მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესის, მათთვის საჭირო და პრობლემურ საკითხებზე. „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურები. მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია კლუბები და წრეები, განხორციელებულია პროექტები და ღონისძიებები ბულინგთან, ძალადობასთან, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი აღწერს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. სკოლას ყავს 3 დამლაგებელი. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ყოველდღიური, ყოველკვირეული და გენერალური დასუფთავების სტანდარტულ მოთხოვნებს. სკოლის ტერიტორიის დასუფთავების მონიტორინგი ხორციელდება კვირის განმავლობაში არანაკლებ 1-ჯერ. მონიტორინგის განხორციელება დასტურდება თანდართულ ცხრილში მონიტორინგის განმახორციელებლის ხელმოწერით. მონიტორინგის განმახორციელებლად განსაზღვრულია მატერიალური - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი, ხოლო (ბრძ. N2-1/ბ, 23.01. 2025წ). დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში არის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, მოწოდებულია სსიპ- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლა მუშობს eFlow, eschool ის

სისტემებში. პირადი ინფორმაცია ზიარდება სოციალურ ქსელში საჯაროდ მხოლოდ მშობელთა ნებართვით. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

რჩევა: სკოლამ უნდა აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებლია საქმისმწარმოებელი და აგრეთვე, სკოლაში დასაქმებული სხვა პირები ფუნქციების შესაბამისად, რაც დეტალურად აღწერილია დოკუმენტში. სკოლის ხელთ არსებული ინფორმაცია ინახებოდა ადმინისტრაციისათვის (დირექცია და საქმისმწარმოებელი) განკუთვნილ ოთახში, მატერიალური და ციფრული ფორმით. სკოლა იყენებს ანტივირუსულ პროგრამებს, სარეზერვო ასლებს ინახავს გარე ვინჩესტერზე, რომელიც პერიოდულად ახლდება, ასევე სკოლის სერვერზე და google drive-ზე. სკოლას დაყენებული აქვს ფილტრი უსაფრთხო და დაცული საიტებით სარგებლობისათვის. სკოლა, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაც უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის ტექნიკურ პერსონალთა მონაცემები და არ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისთვის. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი არეგულირებს სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმს. სკოლა ინახავს მხოლოდ იმ მონაცემებს, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული, კანონიერი მიზნის მისაღწევად და მონაცემთა შენახვის ვადებისა და წესის განსაზღვრისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებს. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ

მოხმარებაში არქივდება და ინახება ადმინისტრაციის ოთახში არსებულ კარადაში, იკეტება გასაღებით, რომელიც ინახება საქმისმწარმოებელთან. დაარქივებულ დოკუმენტებზე წვდომა შესაძლებელია დირექტორის ნებართვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.
2.უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ.
3. ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის
შესახებ.
4.სასკოლო კლუბები/წრეები/პროექტები.
შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა.

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსიხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ - აზა ადამიას სახელობის ქ. მარტვილის N2 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ მარტვილში, თავისუფლების ქ. N13. სკოლამ ვერ წარმოადგინა **ამონაწერი საჯარო რეესტრიდან,** რადგან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები არაა დასრულებული, არ არის შენობა ექსპლუატაციაში შესული. სკოლის მთლიანი ეზოს ფართობია 6068 კვ.მ. ეზოში განთავსებულია: მინი ფეხბურთის მოედანი 789 კვ. მ და დამხმარე ნაგებობები 39 კვ.მ და 34 კვ.მ. (საქვაბე და წყამომარაგებისთვის განკუთვნილი შენობა) სკოლის შენობა სამსართულიანია, იგი გათვლილია 300 მოსწავლეზე. სკოლის შენობის ფართობია 1395 კვ.მ. სკოლას ჩაუტარდა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრული რეაბილიტაცია, თუმცა არ არის დასრულებული სამუშაოები, რის გამოც ჯერ მიღება-ჩაბარებით არ არის გადაცემული სკოლაზე და შენობა ექსპლუატაციაში არ არის შესული. სველი წერტილები განთავსებულია შენობის სამივე სართულზე, არის 9 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. *ექსპერტთა ვიზიტის*

დროს წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო-სასკოლო გეგმის პროექტი. სადაც განსაზღვრა სასწავლო პროცესის წარმართვა ორ ცვლაში. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, დახურული სპორტ-დარბაზი (143 კვ. მ) გასახდელებით გოგონათა და ვაჟებისთვის, რესურსოთახი, მანდატურის ოთახი. სკოლის ეზოში მოწყობილია შემოსაზღვრული სპორტული მოედანი. სკოლა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით და პროექტორებით.

რეკომენდაცია:

სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 18.07.2026წ. უზრუნველყოს სკოლის ექსპლუატაციაში შესვლა და საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სსსმ მოსწავლეები სარგებლობენ რესურსოთახით, ყველა საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით.
სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების პროცედურები და აღჭურვილია ყველა შესაბამისი რესურსითა და მედიკამენტით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (ბრძ. N2-06 2025წ. 05.02). ბიბლიოთეკა განთავსებულია სკოლის შენობის მეორე სართულზე. ერთ სივრცეშია მოწყობილი სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი. საცავში წიგნები განთავსებულია თემატურად. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს მრავალფეროვან ლიტერატურას და სასკოლო სახელმძღვანელოებს. მოსწავლეებს შესაბამისი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში ეხმარება სკოლის ბიბლიოთეკარი. საბიბლიოთეკო რესურსი

ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. სკოლამ წარმოადგინა მიღება - ჩაბარების დოკუმენტები. როგორც ექსპერტთა მიერ შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმებისას აღმოჩნდა და თავად ბიბლიოთეკარმაც ექსპერტებთან აღნიშნა, ყველა წიგნი არ იყო საბიბლიოთეკო წესის მიხედვით დამუშავებული, რისი მოწესრიგებაც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ უზრუნველყო. ბიბლიოთეკაში არის სარეგისტრაციო ჟურნალი წიგნადი ფონდის აღრიცხვისთვის, რაც განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად. სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში აღრიცხულია ინვენტარის ნომერი, წიგნის ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური, ინდექსი, გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, წიგნის ღირებულება (ფასი). ვინაიდან სკოლას საშტატო განრიგით არ ჰყავს ბიბილიოთეკარი, სოციალური დასაქმების პროგრამით დასაქმებულია ბიბლიოთეკარის დამხმარე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. შენობის შესასვლელი ადაპტირებულია (პანდუსებით არის უზრუნველყოფილი), არის ლიფტი. სკოლას აქვს საჭირო სასწავლო მასალებით და ინვენტარით აღჭურვილი რესურსოთახი და სამედიცინო კაბინეტი მდებარეობს შენობის პირველ სართულზე. შენობის ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები ვაჟებისა და გოგონებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, მაგრამ სხვადასხვა ღონისძიებებისთვის იყენებს სპორტულ დარბაზს, ფეხბურთის მოედანს, დერეფნებს, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ბიბლიოთეკაში მოსწავლეებისთვის იმართება სხვადასხვა აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კლასის დამრიგებლის პროგრამები.
2.ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
3. ვიზუალური დათვალიერება.

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. სკოლაში კომპიუტერების შემდეგი რაოდენობაა: მუშა მდგომარეობაში არის 42 პორტატული კომპიუტერი; 2 პერსონალური კომპიუტერი, 1 კომპიუტერი საქმისმწარმოებელთან, 1 კომპიუტერი საინფორმაციო მენეჯერთან, 1 კომპიუტერი ბუღალტერთან, 1 ბიბლიოთეკაში. 5- პრინტერი, 7- პროექტორი.

სკოლაში დამტკიცებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი (05.02.2025ბრძანება N2-07), რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე წვდომას მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის.

კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი, რომელშიც გაწერილია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა. განსაზღვრულია კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგი და უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა. სკოლის ციფრული განვითარების გეგმაში ჩანს, რომ სკოლას იდენტიფიცირებული აქვს საჭიროებები და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებით გეგმავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.
2.კომპიუტერული ტექნიკის მიღება- ჩაბარების დოკუმენტაცია.
3. ინვენტარიზაციის მასალები.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი (სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესი (ბრძანებაN2-05 05.02.2025წ). აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან. სკოლაში საქმისწარმოება ხდება eflow-ს მეშვეობით, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია,

რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება, რომელსაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი, იტვირთება ბრძანებები, რომელიც ინახება მატერიალური ფორმითაც. ბრძანებებს რიგითობის მიხედვით ენიჭება ინდივიდულური ნომერი. სკოლაში იწარმოება გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, სადაც ყოველი კალენდარული წლის მიხედვით თანმიმდევრულად ინომრება ხელშეკრულებები და ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. მოსწავლის პირადი საქმეები სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. შემოსულ წერილებზე პასუხი იგზავნება შესაბამის ვადებში. საქმისწარმოება სკოლაში ორგანიზებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მართვისათვის იყენებს სკოლის ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას: EFLOW, E-SCHOOL, ასევე სკოლის ელექტრონულ ფოსტას. სამუშაო შეხვედრები იმართება TeAMS-ის პლატფორმის გამოყენებით, ამ პლატფორმას იყენებენ კლასის დამრიგებლები შეხვედრებისთვის. ბაზაში არის ინფორმაცია, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ბაზაში განთავსებულია საგაკვეთილო განრიგი/ცხრილი, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, ხარისხის ჯგუფის შემადგენლობა, სახელმძღვანელოები. სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გაცვლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი არ შეფასდა.

4.სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი არ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანებების საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალი.
2. Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.
3.საქმისწარმოების წესი.
4.საჯარო სკოლების პორტალი;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს. სკოლა საზოგადოებასთან შესაბამისი და დროულად ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს სკოლის ვებგვერდს skolebi.emis.ge –ზე, ელექტრონულ ფოსტას. სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ, ელექტრონული ჟურნალის, „თიმსის“ საგანმანათლებლო პლატფორმის, სოციალურ ქსელში მშობელთა ჯგუფების, სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლაში არსებულ რეალობას და საჭიროების შემთხვევაში, სკოლას აქვს მისი დოკუმენტური დადასტურების საშუალება. მოქალაქის მომართვის შემთხვევაში სკოლაზე განცხადებით, ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ იწყება ინფორმაციის მოძიების პროცესი, რაზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და იღებს სრულ პასუხისმგებლობას სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელების შესახებ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; საჯარო სკოლის დირექცია/პედაგოგები უკუკავშირს იღებენ მეილის, eflow, teams საგანმანათლებლო პლატფორმის, სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული

არჩევითი საგნების არჩევის პროცესში, რაც დასტურდება გამოკითხვებით და ოქმებით. ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე.
სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავების პროცესში. უკუკავშირის მიღება ხდება გამოკითხვის გზით. ასევე მშობელთა კრებებზე, სადაც მშობლები ეცნობიან მარეგულირებელ დოკუმენტებს, სამოქმედო გეგმებს და მათგან მიღებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ შემდგომი ცვლილებებისთვის. მოსწავლეების უკუკავშირი მიიღება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.
სკოლაში წახალისებული და მხარდაჭერილია მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წამოყენებული ინიციატივები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში სწავლების ენა არის ქართული. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის ვებგვერდი.

2. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში.

3. მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომათა ოქმები.

4. კითხვარები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საჯარო სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლა ფინანსურად მდგრადია და აქვს შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს სკოლის საჭიროებები. სკოლას აქვს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის პრაქტიკა. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები (მათ შორის ვაუჩერული დაფინანსების, ეკონომიკური შემოსავლებიდან მიღებული თანხები), მომდევნო წლის პრიორიტეტები და სავარაუდო ხარჯები, რომელიც მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, კომუნალურ გადასახადებს, საოფისე ხარჯებს და სკოლის განვითრებისთვის საჭირო ფინანასურ რესურსებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლის დირექტორი ყოველი წლის დეკემბერში ანგარიშით წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი. სკოლა მუშაობს SPA.ge ზე საკუთარი პორტალით, სადაც ატვირთულია შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმა შემუშავდება პასუხისმგებელი პირის მიერ გაწეული ბაზრის კვლევის გათვალისწინებით. სკოლას ანგარიში აქვს საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში და იყენებს ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საპროგნოზო ბიუჯეტი.
2. ინვენტარიაზაციის მასალები.
3. წლიური შესყიდვების გეგმა.

4. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.
5. სკოლის ბიუჯეტი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწეს, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება, სასკოლო სასწავლო გეგმა, ფუნქციონოირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე გასაჩივრების წესი, რომლითაც დაკონკრეტებულია თუ ვის, რა ფორმით და რა ვადაში უნდა მიმართოს მოსწავლემ, თუკი ჩათვლის, რომ დაირღვა მისი კანონით გათვალისწინებული უფლებები. მოსწავლეებისათვის მათი უფლებების (შინაგანაწესი) გაცნობა არის დამრიგებლის მოვალეობა.სსსმ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა დამატებით რეგულირდება „სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციებით“ სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებლები და სსსმ პირების ასისტენტები, რომლებიც კლასის დამრიგებლებთან და მთლიანად სასკოლო საზოგადოებასთან ერთად ზრუნავენ მოსწავლეების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვაზე.

სკოლის შიდა რეგულაციებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების და გარანტიების უზრუნველყოფა. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სასკოლო რეგულაციების გამჭვრივალობაზე მეტყველებს სკოლის ფოიეში გამოკრული შინაგანაწესი, ასევე სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი. სკოლის ყველა რეგულაციის გამჭვირვალობა და სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის ხელმისაწვდომოვბა. სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან. ხელშეკრულების პირობები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი და უშუალოდ ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული რეგულაციებით. წარმოდგენილი წესი შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებთან: N40/ნ (ეროვნული სასწავლო გეგმა), N04/ნ (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ). დოკუმენტში დაზუსტებულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს სკოლაში ვიზიტისას გადამოწმდა სკოლის მიერ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურები და მოსწავლეთა პირადი საქმეები. სკოლას რეგულაციები დაცული აქვს.სტანდარტის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა არ ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი უზრუნველყოფს, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სკოლის პროგრამების, აქტივობების, რესურსების შესახებ იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციაც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც გამჭვირვალე, კანონმდებლობის შესაბამისი, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული წესის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ახალი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას უზრუნველყოფს სკოლის დამრიგებელი, რომელიც აცნობს მოსწავლეს თანაკლასელებს და ხელს უწყობს მათ დამეგობრებას, სასკოლო გარემოს და წესებს და გამორჩეულ ყურადღებას უთმობს სკოლაში სწავლის პირველ პერიოდში. სკოლის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი აქტივობების ამსახველი მასალები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ მოსწავლეთა ადაპტაციის წესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა სწავლის დაწყების (პირვლ კლასში ჩარიცხვა, მობილობა) მომენტიდან. აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში გამოყენება მიმდინარე წარმოების ფარგლებში ვერ შეფასდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლის დამრიგებლების მუშაობით უზრუნველყოფილია მოსწავლის ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. სტანდარტის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3.აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოსწავლის კონსულტაცია და მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით, სადამრიგებლო პროგრამით, მასწავლებლების ფუნქციებით. სტანდარტის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4.კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისთვის სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს შესაბამისი მხარდაჭერით. სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლა ადმინისტრირებას უწევს საშემოდგომო, სემეტრულ გამოცდების კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარებას და მოსწავლეთა შესაბამის მხარდაჭერას (დროულად ინფორმირება, კონსულტირება), ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებას. ადგენს ჩასაბარებელი გამოცდების განრიგს, ქმნის კომისიას და ინფორმაციას აწვდის მშობელს აღნიშნულის შესახებ დამრიგებლების მეშვეობით. კონკურსებისა და ოლიმპიადებისთვის მოსწავლეთა მოსამზადებლად (კათედრის ოქმი), მასწავლებლები დამატებით მეცადინეობებს უტარებენ ბავშვებს და ეხმარებიან ცოდნის გამყარებაში.
სტანდარტის **ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**
5.სკოლას შემუშავებული არ აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დამრიგებლების მონაწილეობით მხარდამჭერი ჯგუფის შემქნას.

6.სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეების/დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. ამასთან, პროცესს ფორმალიზებული მხარე არ აქვს და სკოლა მომდევნო წლიდან გეგმავს აწარმოოს სპეციალური გამოკითხვები ამ მიზნით. **სტანდარტის ინდიკატორი პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ექსტერნის, საშემოდგომო, წლიური გამოცდების დანიშვნის, შესაბამისი კომისიების შექმნის და სხვა ბრძანებები
- მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეთავაზების გზით. სპეციალური წესი/რეგულაცია, რომელიც საკითხს აწესრიგებს სკოლას არ აქვს, თუმცა, პრაქტიკაში ახორციელებს პერიოდულ ექსკურსიებს პროფესიულ სასწავლებლებში, აწყობს შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან და ა.შ. რაც მოსწავლეებს ეხმარება პროფესიის შერჩევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლას საკითხის მომწესრიგებელი სპეციალური წესი არ აქვს, თუმცა, პრაქტიკაში მშობლებთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან აქვს აქტიური თანამშრომლობა, პერიოდულად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, კურსდამთავრებულთა არჩევანი მეტწილად განპირობებულია სკოლაში მიღებული ინფორმაციითა და გამოცდილებით, რომლის გათვალისწინებით კურსდამთავრებულთა ნაწილი პროფესიულ სასწავლებლებში განაგრძობს სწავლა, ნაწილი კი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას აქვს მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით გარკვეული გამოცდილება, თუმცა, მექანიზმი (მაგ. კვლევა), რომლის შესაბამისადაც მოახდეს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, დღეისათვის სკოლას არ აქვს. ამასთან, დაწესებულება გეგმავს კვლევის მეშვეობით მომავალში შეაფასოს და გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას,

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს, როგორც იდენტიფიცირებულ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის რეგულაციებს, ასევე მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებულ პირველადი სირთულეების მართვას, შიდა მონიტორინგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლაში ვიზიტის პერიოდში ფიქსირდებოდა 6 სსსმ მოსწავლე. მათთვის გამოყოფილა რესურს ოთახი და დაცულია ყველა რეგულაცია, რომელიც განსაზღვრული აქვს სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით და სსსმ

მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები (ბრძანება N2-159, 30მაგვისტო, 2023 წელი);
- ინდივიდუალური გეგმები;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (ტრანსპორტირება) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას აქვს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება კერძოდ ტრანსპორტირების სერვისი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლას არ აქვს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავებისას ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) საგნობრივ პროგრამებზე მუშაობისას იკრიბება სამივე საფეხურის კათედრა და მუშაობს ესგ-ს გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებზე. დამრიგებლები სადამრიგებლო საათის პროგრამის ფარგლებში და მშობელთა კრებებზე აცნობენ მშობლებს გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს, მშობლებისა და მოსწავლეების უუკავშირის შემდეგ ხორციელდება დაგეგმილი აქტივობები. ეს იქნება ექსკურსია, პროექტი თუ სხვა აქტივობა, რომელიც ხორციელდება მათი სურვილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში. სკოლა სისტემატიურად ცდილობს მხარი დაუჭიროს ყველა სასურველ წამოწყებას. ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი და საჯაროა როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე დაინტერესებულ პირთათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ჩანს სხვადასხვა აქტივობებისა და პროექტების დაგეგმვის ნაწილში, კონკრეტულად მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის პირისპირ და ონლაინ შეხვედრები. დამრიგებლები პერმანენტულად ატარებენ კლასის საათებს, სადაც ხდება მოსწავლეების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების გამოვლენას და გათვალისწინებას, თუმცა აღნიშნული აქტივობის დოკუმენტირება არ ხორციელდებოდა. მე-5 კლასში მეორე უცხო ენის არჩევა ხდება მშობელთა კრების შედეგად. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ორ მეორე უცხო ენას : გერმანული, რუსული (შემდეგი სასწავლო წლისთვის).

საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნების შეთავეზება ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლა აქტიურად გეგმავს სასკოლო სასწავლო გეგმა ააგოს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. ჩართოს კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყველა მხარე, მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით დაიგეგმება კურიკულუმის შემუშავება. მასწავლებელთა მხრიდან კათედრებზე განხილული ანგარიშების საფუძველზე ხდება გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების გზების ძიება და დაგეგმვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასწავლო წლის ბოლოს საგნობრივი კათედრების მიერ საკუთარ კათედრაზე განხილული ანგარიშების (შემაჯამელის ანალიზი; განხორციელებული და მიმდინარე პროექტების ანალიზი; კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრებები, კათედრებს შორის დასწრება -რეფლექსია/უკუკავშირი, როგორც წერილობით ასევე ზეპირი ფორმით) გაანალიზების საფუძველზე და საჭიროებათა გამოვლენის შემდეგ სამეურვეო საბჭოზე შეთანხმებულია სასკოლო გეგმის საბოლოო სახე, ხოლო პედ-საბჭოს სხდომაზეა დამტკიცებული.

მომავალში სკოლა გეგმავს აქტიურად ჩართოს სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მშობლის, მოსწავლის, მასწავლებლის უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ადმინისტრაციის ჩართულობით შეთანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და დასამტკიცებლად წარედგინება პედ-საბჭოს. **ინდიკატორი დაკმაკოფილებულია.**

4.სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის გაზიარების რამდენიმე საშუალება არსებობს. ერთ - ერთი მათგანია მასწავლებლის ბარათები, შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე ცვლილებების შემთხვევაში. მომავალში გააქტიურდება მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობას, რაც დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოებაზე, მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე. სკოლა ხელს შეუწყობს მშობლის ჩართულობას, როგორც მართვის, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში.

სკოლას შექმნილი აქვს ვებ გვერდი და სოციალური ქსელი, რომლის საშუალებით ხდება ინფორმაციის მიწოდება სასკოლო საზოგადოებისათვის, ასევე, შექმნილია სოციალური ქსელის მეშვეობით ონლაინ ჯგუფები დირექციასა და პედაგოგებს, პედაგოგებსა და მშობლებს შორის. სამომავლოდ სკოლას დაგეგმილი აქვს სადამრიგებლო პროგრამაში გაითვალისწინონ ერთ - ერთ აქტივობად სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის გაცნობა მოსწავლეებისა და მშობლებისათვის.

სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის აპრობირებული პრაქტიკაა ზეპირი/სიტყვიერი ფორმა. მომავალში იგეგმება სკოლამ შეიმუშავოს უკუკავშირის მიღების მექანიზმი: კითხვარის ფორმით, რომელიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი მატერიალური ან ელექტრონული. **ინდიკატორი დაკმაკოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები
კათედრების სხდომის ოქმები
მშობელთა კრების ოქმები
შემაჯამებლების ანალიზი

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სასწავლო საგნების (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) წარმოდგენილ კურიკულუმში ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწორადაა მოქმედი ესგ - ს სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები შეესაბამება დასამუშავებელი თემის ფარგლებს. ყველა თემის შესწავლისას მუშავდება საგნისთვის განკუთვნილი ყველა საქმიზნე ცნება გარკვეული მოცულობით, რასაც უზრუნველყოფს შუალედური მიზნების სახით შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებების შესრულება სავალდებულო თემების შესაბამისი საკითხების დამუშავებით. ასევე პრიორიტეტულია პროექტული სწავლება და წარმოდგენილია არაერთი საინტერესო პროექტი, როგორიცაა " „ლუგელა";"ენდემური ჩიყვი". წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სამიზნე ცნებები, თემები/საკითხები. შესაბამისობაშია ესგ მოთხოვნებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნების კურიკულუმების ჩარჩოში ჩანს, რომ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო თემები, თემის ფარგლებში - სამიზნე ცნებები, შესაბამისი საკითხების, კონტექსტ-მაგალითებისა და რესურსებით მითითებით. თითოეული თემის ფარგლებში მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს (,,ცნობარი, სვანეთის ტურისტული პოტენციალის შესახებ"- ჩვენი საქართველო მე-6 კლასი; ,,წერილი, მერიის ინფრასტრუქტურულ სამსახურს შენს თემში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემის შესახებ" მოქალაქეობა, მე-8 კლასი; ,,სტატია ნორმანების ყოველდღიურობის, ევროპის ტერიტორიებზე მათი დაპყრობების, თავდასხმების და მათი აღმოჩენების შესახებ", ისტორია მე-10 კლასი და სხვა), რომლის დროსაც ივითარებენ სასწავლო-შემოქმედებით უნარებს. საგნობრივ კურიკულუმებში, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებში ორინეტირება ხდება საფეხურის ფარგლებში საგნის გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: • **სამივე საფეხურის** მასწავლებლებმა, მიზნობრივია, რომ სასწავლო წლის დასაწყისში გადახედონ კურიკულუმებს, საჭიროების შემთხვევაში შეიეტანონ ცვლილებები წინა სასწავლო წლის გამოცდილების შესაბამისად. • **საშუალო საფეხურზე** საგან ,,პროექტი სამოქალაქო განათლებაში" მიზნობრივია შეადგინონ კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი სამივე კლასისთვის ცალ-ცალკე, სადაც წარმოჩენილი იქნება წლის განმავლობაში შერჩეული და განსახორციელებელი პროექტები - თემის, სამიზნე ცნება/ცნებების, საკითხის, საგანთაშორის ინტეგრაციის, რესურსების და თითოეული პროექტის განსახორციელებლად მუშაობის პერიოდის მითითებით. ჩარჩო-დოკუმენტს თან ახლდეს პროექტების სამოქმედო გეგმა და პროექტის შეფასების რუბრიკები.

უცხოური ენები	სკოლას სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები ყველა კლასისთვის სამივე უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული და რუსული ენები). კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მოიაზრება, როგორც მოსწავლის განვითარების გზა, საშუალება, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. ამ ეტაპზე კათედრას შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი აქვს საინტერესო კომპლექსური ტიპის დავალებები უცხოურ ენებში შესაბამის სასწავლო შინაარსთან და თემატურ ერთეულებთან ერთად და ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას და საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის გეგმაზომიერად ორგანიზებასა და განვითარებას. ისინი ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას დამოუკიდებელ, ანალიტიკურ, პრაქტიკულ და შემოქმედებით საქმიანობებში, რაც ეფუძნება თითოეული მოსწავლის პიროვნულ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და განვითარების ინდივიდუალურ ტემპს. ამგვარი მიდგომა აძლევს მასწავლებლებს შესაძლებლობას, შეარჩიონ სწავლისა და სწავლების ისეთი მეთოდები და აქტივობები, რომლებიც ოპტიმალურად შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საგანმანათლებლო საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეყრდნობა ესგ-ს, მასში გათვალისწინებულია სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ კურიკულუმით განსაზღვრული თემები

	და საკითხები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური მიზნები წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით. სკოლაში ფუნქციონირებს პროექტული სწავლება, ასევე იყენებენ დამატებით რესურსებს, კონტექსტ-მაგალითებს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემების ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე სამივე საფეხურისათვის შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმი. ეროვნული სასწავლო გეგმის მათემატიკის სტანდარტის შესაბამისად დამუშავებულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. საკითხთა კლასტერი ძირიადად შეესაბამება სასწავლო თემებს, გაწერილია შესაბამისი რესურსები; ასევე წარმოდგენილია კომპლექსური ან შემოქმედებითი ტიპის დავალებების რამდენიმე იდეა, რომელიც არის მრევალფეროვანი და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებაზე მორგებული. კონტექსტ მაგალითები ახლოსაა მოსწავლეთა ყოველდღიურობასთან, შესაბამისად ხელს შეუწყობს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები არის გათვალისწინებული შუალედურ მიზნებსა და სასწავლო შინაარსში. **რჩევა**: სასურველია, საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს წინა წლის კურიკულუმის რევიზიის შედეგები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგს, თუმცა პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს ითვალისწინებენ წინა წლის კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების გამოცდილებას. კარგი იქნება თუ სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგები გააკეთებენ კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსიას, შედეგებს გაითვალისწინებენ

	მომავალ სასწავლო წელს საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, შემუშავებულია სპორტის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. შედეგი კი ასახულია სპორტულ აქტივობებში და მიღწევებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების (მათემატიკა, სახელმწიფო ენა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები. კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმებების ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები, შერჩეულია თემის დასამუშავებელი შესაბამისი საკითხები. თემებში კლასების მიხედვით განსაზღვრულია სამიზნე ცნებების დამუშავება შესაბამისი შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის. აქვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესში მიმდინარეობს პროექტებით სწავლება. ხორციელდება სხვადასხვა სირთულის კვლევითი სამუშაოების შესრულება. მოსწავლეები კვლევით სამუშაოებს ასრულებენ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში და გარდა სასკოლო სივრცისა კვლევით სამუშაოებს ასრულებენ შინ–სახლის პირობებში, ყოველგვარი უსაფრთხოების წესების დაცვით. კურიკულუმი, რომ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალით, ადგილზე დათვალიერებით. ერთ–ერთი საინტერესო ნაშრომია ფიზიკის მიმართულებით შესრულებული დავალება/მოდელი სკოლის ინფრასტუქტურა, სადაც მისასალმებელია რომ გათვლილია მზის ენერგიის გამოყენება და ნარჩენი პროდუქტების ადგილზე უსაფრთხოდ შეგროვება/გაუვნებელყოფა. მოსწავლეებისთვის არის გარემო სასწავლო პროცესის სახით, რომ მათ განივითარონ შემოქმედებითი, კვლევითი, კომუნიკაციის, სოციალური და სხვა უნარები. ყოველივე ეს ერთობლივად ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილია სავალდებულო თემები, თითოეულ თემაში მუშავდება ყველა ცნება; საკითხები ქვესაკითხებით, კონტექსტ-მაგალითებით, კომპლექსური დავალებებით, მაგალითი შედარებისთვის, ძირითადი და დამატებითი რესურსებით არის წარმოდგენილი; სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებები *(,,რეპორტაჟი სკოლის შესახებ", ,,ბუკლეტის შექმნა მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციებისა და მათი განვითარების შესახებ კახეთში", ,,სტატიის მომზადება კოლხეთში ბერძნული კოლონიების დაარსების შესახებ", ,,ესეს შექმნა სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობაზე", ,, სტატიის მომზადება (კუნძულ ჰენდერსონის მაგალითზე) დაბინძურების გავლენა მსოფლიო ეკოსისტემებზე" და სხვა.)* მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** • სასურველია, **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურის საგნობრივ ჩარჩო-კურიკულუმებს სრულად ახლდეს განხორციელებული შემოქმედებითი დავალების აქტივობები, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სასწავლო პროცესს.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს ისეთ დავალებებს და აქტივობებს (მაგალითად, სასწავლო პროექტი - ,, ინგლისურენოვანი და ქართველი მწერლების შემოქმედება''-, კომპლექსური ტიპის დავალებები;), რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაერთონ კომუნიკაციაში, იაზროვნონ კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გამოავლინონ თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის უნარები, გუნდურობა, შეძლონ რეფლექსიის გაკეთება და

	მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მათი ხასიათის და პიროვნების ჩამოყალიბებას. გერმანული ენის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე სამიზნე ცნებები გაწერილია ძველი ტერმინოლოგიით (,,წერითი კომუნიკაცია'', ,,ზეპირი კომუნიკაცია'', ,,ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობა''), გარდა მე-12 კლასისა. სკოლას/კათედრას ეძლევა **რჩევა**, მომავალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყონ სამიზნე ცნებების სწორი ტერმინოლოგიით გაწერა გერმანული ენის კურიკულუმებში (ტექსტი/ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები; კულტურათა დიალოგი), ხოლო მე-12 კლასის კურიკულუმში გაითვალისწინონ, რომ ვინაიდან თითოეულ თემატურ ერთეულში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის გრაფაში უნდა გაიწეროს ასევე ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირეულ მიზნებთან და მის ღირებულებრივ ჩარჩოსთან. ისინი მიზნად ისახავს მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ინდივიდუალური შესაძლებლობების და სოციალური უნარების განვითარებას სხვადასხვა ტიპის აქტივობის საშუალებით, მათ შორის, მუსიკალურ და სახელოვნებო შემოქმედებით ამოცანებზე მუშაობით, ინტერპრეტაციული და პრეზენტაციული საქმიანობით, ემოციური გამოხატვებისა და შთაბეჭდილებების გაზიარებით, ასევე თანამშრომლობაზე დაფუძნებული ჯგუფური საქმიანობით. მუსიკის კურიკულუმი კონკრეტულად მიზნად ისახავს მოსწავლის სმენის, შემოქმედებითი უნარებისა და ემოციური ინტელექტის განვითარებას, რაც სრულად პასუხობს ეროვნული გეგმის მიერ განსაზღვრულ მიმართულებებს. ხოლო სახვითი ხელოვნების სწავლება ემსახურება ვიზუალური აღქმის, ესთეტიკური გემოვნებისა და კულტურული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებას, რაც, ასევე, ორგანულად ებმის ეროვნული სასწავლო გეგმის ღირებულებებს. კურიკულუმები, ხშირად, ეფუძნება ინტეგრირებული სწავლის

	პრინციპს, რაც გამოიხატება სხვადასხვა საგნობრივ სფეროთა შერწყმით, რაც ეროვნული გეგმის მრავალმხრივი განათლების იდეას სრულად პასუხობს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას. კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი თემები და საკითხები, მითითებულია კონტექსტ მაგალითებიც. კურიკულუმებში ფიქსირდება თითოეული თემის დამუშავებისათვის გასაზღვრული საათების ჯამური რაოდენობა. კურიკულუმებს ახლავს შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებიც. ►არმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული, სასწავლო პროცესშ გამოიყენებენ დამატებით მატერიუალურ და ელექტორნულ რესურსებსაც. კურიკულუმით განსაზღვრული და განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმების შემუშავებისას გამოყენებული იყოს ერთი ჩარჩო. აგრეთვე, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებების მატრიცები სასურველია გაიწეროს უფრო დეტალურად, თითოეული ნაბიჯის/ აქტივობის რაც შეძლებისაგვარად დეტალური აღწერით.
მათემატიკა	მთავარი დოკუმენტი, რომელსაც სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა არის ეროვნული სასწავლო გეგმა. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ძირითადად გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი შემოქმედებითი პროდუქტები ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებასა და ცოდნის ეტეპობრივ კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები და აქტივობები იერაქრქიულ კავშირშია ერთმანეთთან. ჩატარებული სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, ემოციების მართვას, უსაფრთხოების დაცვას, სამართლიანი თამაშის წესების დაცვას, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილია სავალდებულო თემები. საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მოცემული დავალებები/ შემაჯამებელი დავალებები ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

1. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სკოლის არჩევით წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო რესურსები გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების სახით, ასევე საგნის სპეციალისტების მიერ შერჩეული დამატებითი სასწავლო რესურსები სხვადასხვა ფორმატით: ვიდეო რესურსი, სამეცნიერო ლიტერატურა, ცენტრის მიერ ლიცენზირებული საგნობრივი შინაარსის სახელმძრვანელოები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განკუთვნილი სასწავლო/მატერიალური რესურსები: სქემები, პლაკატები, მოდელები, მუდმივი პრეპარატები, სხვადასხვა თვალსაჩინოებები, ქიმიური რეაქტივები, გამადიდებელი ხელსაწყო – მიკროსკოპები, ექსპერიმენტისთვის/ცდებისთვის ჩასატარებელი საჭირო ხელსაწყოები/ინვენტარი. შერჩეული სასწავლო რესურსები არის მიზნობრივი, გათვალისწინებულია ასაკობრივი შესაბამისობა, მოსწავლეთა საჭიროება და შესაძლებლობა. შესაბამისად, წარმოდგენილი სასწავლო და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის საგნების სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელებას და კვლევითი/ ექსპერიმენტული დავალებების შესრულებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე** სასწავლო პროცესი დაგეგმილია ძირითადი - გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და მრავალფეროვანი დამხმარე, ელექტრონული რესურსების გამოყენებით, რაც ემსახურება კომპლექსური დავალებების განხორციელებისათვის მოსწავლეთა ჩართულობას, მოტივაციის ამაღლებას და მათ დაეხმარებას სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების დაძლევაში. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს

	დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (პროექტორი, კომპიუტერი, ინტერნეტი, რუკები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** • **დაწყებით საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე შემუშავებულ ყველა ჩარჩო-კურიკულუმში ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელო) მიეთითოს სრულად: ავტორები, გამომცემლობა, პარაგრაფები და გვერდები (მაგ.: მე და საზოგადოება მე-3 კლასი; მოქალაქეობა მე-7, 8, 9, 10, 11 კლასები; გეოგრაფია მე-7, 8, 9, 12 კლასები);
უცხოური ენები	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (სახელმძღვანელო, მოსწავლის სამუშაო რვეული), აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის ინტერესების, შემოქმედებითი აზროვნებისა და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს ვიზუალური, აუდიო და ციფრული რესურსების გამოყენებას. მათ შორისაა ნოტური ტექსტები, აუდიოჩანაწერები, სასწავლო და საინფორმაციო წიგნები, ალბომები, ილუსტრაციები, ვიდეომასალები, სხვა აუდიოვიზუალური წყაროები, პრაქტიკული ამოცანები და ინტერნეტპლატფორმებზე განთავსებული რესურსები. მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია აღნიშნული თანამედროვე რესურსების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირებისა და მათი ეფექტიანი პედაგოგიური გამოყენებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმებში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ გარდა ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოებისა, სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დამატებითი რესურსებს ფოტო, ვიდეო, აუდიო მასალებს, ინტერნეტ რესურსებს, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების ჩამონათვალი სრულყოფილად და მრავალფეროვანი სახით იყოს წარმოდგენილი კურიკულუმშიც.
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები ხელს უწყობენ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძთვანელო. ასევე გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, ასაკისა და მზაობის შესაბამისი რესურსები. მასწავლებლები მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებს, რომელთა ბმულებისც მრავლად არის წარმოდგენილი თითქმის ყველა კლასის მათემატიკის კურიკულუმში. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადი საკითხის მიმართ განსაზღვრულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოს) გვერდები, ასევე დამატებით რესურსები „ტელესკოლის“, „ხანის აკადემიის“, „learningapps“ სდა სხვა ელექტრონული მისამართებთ. სკოლას შემუშავებული აქვს დამატებითი სასწავლო და მატერიალური რესურის შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები

	გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ელექტრონული რესურსების გამოყენებით. პროგრამების: “ ვსწავლობთ თამაშით”, ვიზუალური პროგრამირება www.scretch.org , თამაშების ლაბორატორია Code.org, School.emis.ge, ღუბლოვანი სერვისების გამოყენება უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლას კომპიუტერული კლასი შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი აქვს. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ინკლუზიური განათლების კუთხით სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებისთვვის ისგ და აქვთ ყოველგვარი რესურსი წარმატებით განახორციელონ სასწავლო პროცესი ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით. დიფერენცირებული სწავლება საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებისთვის განვითარების პროცესშია და იკვეთება რომ გააუმჯობესებენ მომავალში. საგანებში წარმოდგენილია დიფერენცირებული სწავლებისთვის შექმნილი დავალება და მტკიცებით ფორმაში აღნიშნავენ მასწავლებლები, რომ გარდა წარმოდგენილი დოკუმენტისა სხვა ტიპის დიფერენცირებული მიდგომის დავალებებს შეიმუშავებენ და გამოიყენებენ მოსწავლეთა მზაობის და საჭიროების შესაბამისად. ასევე იკვეთება რომ მოსწავლეთა ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ჩატარებული აქვთ სხვადასხვა ექსპერიმენტული და პრაქტიკული სამუშაოები, შექმნილია შემოქმედებითი პროდუქტები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, თავიანთი შეაძლებლობების წარმოჩენას, შემოქმედებითობის გარღმავებას. ჩანს, რომ დიფერენცირებული სწავლებით ხელშწყობილია შემოქმედებითი პროდუქტის შესასქმნელი დავალების შემოქმედებითი პროდუქტი მოსწავლემ წარმოადგინოს საკუთარი ხედვით და უნარების გამოყენებით. ყოველივე ეს ხელს უწყობს შესაძლებლობის შესაბამისად მიიღონ განათლება საბუნებისმეტყველო საგნებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **დაწყებით** და **საბაზო** საფეხურზე სკოლას შემუშავებული აქვს შესამაბისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (მე-5 (ჩვენი საქართველო) და მე-7 (ისტორია, მოქლაქეობა, გეოგრაფია) კლასი) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. დიფერენცირებული მიდგომა სხვადასხვა რესურსის გამოყენებასა და კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი შემოქმედებითი

	პროდუქტის მრავალფეროვან ბუნებაში (საინფორმაციო ბუკლეტი, ესე,, სტატია, საჯარო სიტყვა და სხვა) გამოიკვეთა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრის პორტფოლიოში მტკიცებულების სახით წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ათვლის წერტილი არის თითოეული მოსწავლე; შესაბამისად, სასწავლო პროცესში კათედრის მუშაობა ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რომლის დროსაც მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესის სფეროს და სწავლის უნარებს. მაგალითად, ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების განსაზღვრა, სასწავლო პროცესის, შინაარსის, საბოლოო პროდუქტის ფორმის დიფერენცირება, შესაბამისი ეფექტური რესურსების შერჩევა; განსახორციელებელი აქტივობების, დასასწავლი მასალის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება და ადაპტირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ხორციელდება ინკლუზიური პრინციპების შესაბამისად და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საგანმანათლებლო ჩართულობას. შეფასების ფორმები, სასწავლო აქტივობები და რესურსები ადაპტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური უნარებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი შემოქმედებითი თვითგამოხატვა განახორციელონ მრავალფეროვანი ფორმებით: ხატვის, მუსიკის, მოძრაობის ან სხვა შემოქმედებითი საშუალებების გამოყენებით. ამგვარი მიდგომა იძლევა მრავალარხიანი სწავლების

	უზრუნველყოფის შესაძლებლობას, რომელიც მოიცავს ვიზუალურ, სმენით, კინესთეტიკურ და ემოციურ ჩართულობას. ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკების წარმატება დამოკიდებულია როგორც მასწავლებლის პროფესიულ კომპეტენციებზე და შერჩეულ პედაგოგიურ სტრატეგიებზე, ასევე სასწავლო დაწესებულების მხარდაჭერასა და შესაბამისი გარემოს შექმნაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი დადგემილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. მასწავლებლები საჭიროებისამებს მიმართავენ დიფერენცირებულ სწავლებას, აქტიურად თანამშრომლბენ სპეც. მასწავლებლებთან და ერთად ქმნიან ინდ. ასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეებისათვის. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, ეტაპობრივად ატარებენ დიაგნოსტიკურ წერებს, აანალიზებენ და სასწავლო პროცესს მიმართავენ მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ტარდება სადიაგნოსტიკო წერები და ამ მასალის ანალიზის საფუძველზე იქმნება კურიკულუმები. კათედრას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.

	რჩევა: კარგი იქნებოდა სკოლის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმებში იკვეთებოდეს სსსმ მოსწავლის ჩართულობა და მისთვის ადაპტირებული აქტივობა ან დავალება ახლდეს თან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სპორტის მიმართულებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანს რომ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ ინკლუზიურ მიდგომებს; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. კომპიუტერული ტექნოლოგირბის მასწავლებელს სსსმ მოსწავლეებისთვის /შედგენილი აქვს ინდივიდუალური სასწაავლო გეგმები (ისგ 2 კლასი, ისგ 5 კლასი). მასწავლებელი იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა მოდელს. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების სამ კომპონენტიანი (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და განმავითარებელი შეფასების სისტემები. თითოეული ტიპის შეფასება ხდება წინასწარ ფორმულირებული, სტანდარტის შედეგებზე/სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული და შესასწავლი თემის, საკითხის შინაარსობივ კონკრეტიკაზე დაყრდნობით, შეფასების კრიტერიუმებით. ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ განმსაზღვრელი შეფასებისას კრიტერიუმების ფორმულირებისას გამოყენებულია სტანდარტის შედეგები, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების ფორმულირებისას სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგნები. შეფასება ხდება ესგ–ის პრონციპების შესაბამისად, დაწყებითში განმავითარებელი შეფასება მე–5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით, ხოლო მე–5 კლასის მეორე სემესტრიდან ყველა კლასში მოსწავლეები ფასდება, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. საგნების მიხედვით შექმნილი აქვთ და წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც არის როგორც კონკრეტული (საგნობრივი) ასევე ზოგადი (ყველა საგანში გამოსაყენებელი). შეფასებისას მასწავლებლები აქტიურად იყენებენ რემედიაციას. ჩანს განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების შემდეგ გაკეთებულ კომენტარებში რომ მომავალი ქმედება მასწავლებლის მიმართულია, როგორ მოახდინოს რემედიაციით მოსწავლის ცოდნის გაუმჯობესება და უნარების განვითარება. რომლის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა აკადემიური წარმატება და ესგ –ის შედეგების მიღწევა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებული მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების სამ კომპონენტიანი (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და განმავითარებელი შეფასების სისტემები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც საგნობრივი, ასევე ზოგადი(ყველა საგნისთვის გამოსაყენებელი) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შეფასებები ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** უმჯობესია, როგორც **დაწყებით**, ასევე **საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალ საგნებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია), ყველა თემაში (თემის მოცულობიდან გამომდინარე 2-3 და მეტიც) შემუშავებული იყოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სამიზნე ცნებებთან მიმართებით.
უცხოური ენები	კათედრას მტკიცებულების სახით ძირითადად წარმოდგენილი აქვს ზოგადი სახის განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.: ზეპირი და წერითი მეტყველების დავალებების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის, დამოუკიდებელი და საშიანაო დავალების, გაკვეთილში ჩართულობის შეფასების რუბრიკები;). აგრეთვე შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შემაჯამებლის ანალიზი და განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკები; სკოლას ეძლევა **რჩევა:** დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში და V კლასის პირველ სემესტრში განმავითარებელი, ხოლო საბაზო-საშუალო საფეხურზე და დაწყებით საფეხურზე V კლასის მეორე სემესტრში

	განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები, ანუ რის მიღწევა უნდა შეძლოს მოსწავლემ თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიზნების მიღწევას. **რჩევა:** შეფასება არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის აღრიცხვით, არამედ მოიცავდეს მოსწავლის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას, აქტიურ მონაწილეობასა და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეფასების ფორმატში უწყვეტი უკუკავშირის, თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების ინტეგრაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის თვითრეფლექსიას და სწავლის პროცესის განმტკიცებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. შეფასებები შესაბამისობაშია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. მოსწავლეების ფასდებიან საკალო, საშიანო და შემაჯამებელ დავალებებში კლასებისა და საფეხურების შესაბამისად. კათედრაზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკებები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბლოგზეც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლას წარმოდგენილი აქვს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და კომენტარები. მათემატიკის კათედრას აქვს ბლოგი სადაც ატვირთულია როგორც

	ზოგადი, ასევე კონკრეტულ თემებზე გაწერილი შეფასების რუბრიკები. იქვეა განთავსებული რამდენიმე კომპლექსური დავალების შეფასების სქემაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნების ორიენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სამ დონიანი შეფასების სისტემა (საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი) V-VI კლასში იყენებენ საკლასო და სემამაჯემებელ შეფასებებს, ხოლო I-IV კლასებში განმავითარებელ შეფასებას. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს შემუშავებული აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები/ შეფასების რუბრიკა/ გამოყენებული განმავითარებელი შეფასება.

- საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნობრივი კურიკულუმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათერდის ოქმები და სემესტრის ანგარიში;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები (ჩვენი საქართველო - მე-5 კლასი, ისტორია, მოქალაქეობა -7 კლასი);
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები (მოქალაქეობა)
- სასკოლო ღონისძიებისა და პროექტების პრეზენტაციის ამსახველი ფოტოები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი,განხორციელებული კომპლექსური დავალების თვითრეფლექსია;

სახელმწიფო ენის კურიკულუმები; შეფასების რუბრიკები; კათედრის ოქმები და ანგარიშები; შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებების ანალიზები; პროექტებისა და შემოქმედებითი პროდუქტის მქონე დავალებების დამადასტურებელი მასალები;

ინდ. გეგმები;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
საგნობრივი კურიკულუმები;
შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
შესრულებული კომპლექსური დავალებები;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგთა ურთიერთდასწრება.
ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. მასწავლებლის ანგარიში.
მულტიდისციპლინური ჯგუფის სამუშაო დოკუმენტაცია; სსსმ მოსწავლების საგნობრივი მონიტორინგები;
შემოქმედებითი პროექტები;

მიმდინარე შემოქმედებითი დავალების კომპონენტები ხელოვნებაში;
შეფასების რუბრიკა.
სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმები;
რესურსების რეესტრი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო საგნებში (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით და წარმოადგენს სასკოლო კურიკულუმის ნაწილს. რაც ეფუძნება ესგ–ის მოთხოვნებს და საგნობრივ სტანდარტებს. პრიორიტეტულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნების მიღწევა. სასწავლო პროცესი მასწავლებლებს მიჰყავთ არსებული კურიკულუმების მიხედვით და რიგ შემთხვევებში მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით და მათი მოთხოვნების შესაბამისად უმატებენ ან ამოიღებენ დაგეგმილ აქტივობებს, სასწავლო რესურსებს, რაც თვალნათლივ მოწმობს, რომ მასწავლებლები ეწევიან კურიკულუმის განვითარებას და მოსწავლეთა საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად მიჰყავთ სასწავლო პროცესი. სასკოლო კურიკულუმის პრინციპებისა და მოთხოვნების თანხვედრილად მიმდინარეობს შეფასება, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებების/სასწავლო პროექტების/არაფორმალური განათლების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. **რჩევა:** სასურველია სასწავლო პროექტები დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტეგრირებულად სხვადასხვა საგნებთან საერთო თემატიკის გათვალისწინებით. ასეთია მაგალითად სამოქალაქო განათლების სასწავლო პროექტი „ადიქცია“, რომლის ინტეგრირება ბიოლოგიასთან ხელს შეუყობს, როგორც სასკოლო კურუკულუმის პრონციპებისა და მოთხოვნების დაკმაყობილებას, ასევე მოსწავლეთა შემეცნების გაზრდას და მათი მხრიდან სხვადასხვა კუთხით დანახვას ამა თუ იმ პრობლემისას და მისი გადაჭრის გზების დასახვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია,**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე** საზოგადოებრივ მეცნიერებებში სასწავლო პროცესი განხორციელდა კურიკულუმების შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტებით გთვლისწინებული გრძელვადიან და შუალედური მიზნების მიღწევის საფუძველზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სხვადასხვა კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე („შეაჩერე ბულინგი", „ადიქციური ქცევა სასკოლო ცხოვრებაში", „ევროპის დღეები"), გაიმართა სასკოლო ღონისძიებები (9 აპრილი). ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა კომპლექსური დავალების მოდიფიცირება (შემოქმედებითი პროდუქტის, აქტივებებისა და რესურსების ცვლილება) მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად; ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული მეთოდები და შეფასების ფორმები. ამის მტკიცებულებაა წლიური და თემატური დაგეგმვები, თემატური მატრიცა რუსულ ენაში, განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუში, ანალიზი და მასწავლებლის რეფლექსია, რაც ადასტურებს კურიკულუმთან შესაბამისობასა და სისტემურ მიდგომას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის მიზნები შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ საგნობრივ მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. გაკვეთილში ფორმულირებული მიზნები მკაფიოდ

	არის დაკავშირებული კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლების შედეგებთან და ასახავს მის ტერმინოლოგიას. სასწავლო აქტივობები მიზანმიმართულად უწყობს ხელს მოსწავლეთა უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე განსაზღვრულ პრინციპებზე, მათ შორის, ინტეგრირებულ სწავლებაზე, მრავალფეროვნების გათვალისწინებაზე და კულტურულ კონტექსტზე ორიენტირებულ მიდგომებზე. **რჩევა:** სასურველია, გაკვეთილის პროცესის ანალიზი განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტიანობის უფრო სრულყოფილ შეფასებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად; სასწავლო წლის მიმდინარეობისას პედაგოგების მხრიდან გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები. კათედრის ოქმებსა და ანგარიშებში ჩანს, რომ სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მხარდაჭირას. სკოლაში შემუშავებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემა, ტარდება დიაგნოსტიკური წერები, ხდება შემაჯამებელი და შემოქმედებითი პროდუქტის მქონე დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა. სასწავლო პროცესშ გამოვლენილი სუსტი მხარეების და საჭიროებების გასაუმჯობესებლად კათედრის წევრები მუშაობენ ერთად, უზიარებენ ერთმანეთს რჩევებსა და გამოცდილებებს. აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა. სკოლას წარმოდგენილი აქვს დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი წერტების ანალიზის ფორმები, რომელთა იყენებენ მომდევნო აქტივობების დაგეგმვისას. კათედრამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით გამოგზავნა დიაგნოსტიკური მუშაობის ტესტი და მისი ანალიზის ფორმა. ასევე წარმოდგენილი აქვთ კათედრის ოქმები, სადამრიგებლო პროგრამა, კოლეგის გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი. მათემატიკის კათედრის ბლოგზე ატვირთული აქვთ დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და პროექტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია სამიზნე ცნებების სახით. აქტივობები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები/ შეფასების კრიტერიუმი/ შესრულებული დავალება/ შემაჯემებელი წერები. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებელმა განახორციელოს სასწავლო წლის მანძილზე რამოდენიმე პროექტი, რომელიც გაწერილი იქნება კურიკულუმში. მოსწავლეები ამუშაოს უფრო მეტად პრაქტიკულ დავალებებზე. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა ხელს უწყობს ღია, მხარდამჭერი გარემოსა და პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე. მოსწავლეები როგორც ჯგუფებში, ისე ინდივიდუალურად ახორციელებენ საკუთარი ინიციატივებს, მასწავლებლების და მოსწავლეების მხრიდან ხშირად ხდება ერთმანეთის წარმატების აღიარება. კლასის საათის ფარგლებში იგეგმება მრავალფეროვანი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან–განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი, ზეპირი კომენტარი, რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან და თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ასევე ჩანს, რომ შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები მიემართება საგნობრივი სტანდარტის შედეგებისა და გრძელვადიანი მიზნებისკენ და შესაბამისად გაწერილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმის აღწერილობა. ეს კი შეფასებას ხდის ვალიდურს, სამართლიანს და ობიექტურს. იკვეთება, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა, შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები სხვადასხვა თემების შესაბამისად. პროცესში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. შეფასების რუბრიკები გაზიარებული აქვთ სასკოლო საზოგადოებასთან და მშობლებთან, რაც კიდევ უფრო ზრდის შეფასების გამჭვირვალობას. **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები მეტი სიხშირით იყოს დაკონკრეტებული დასამუშავებელი თემა/საკითხის, სამიზნე ცნებების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია,**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	არსებული დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა საერთო ჯამში ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანია, რადგანაც შეფასების რუბრიკაში ჩანს, რომელ სასწავლო შედეგებს მიემართება შეფასება; ინფორმირებულია ყველა მოსწავლე; განმსაზღვრელი შეფასების შედეგს ახლავს კომენტარის ველი; შეფასების პროცესი ორგანიზებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრას გაცნობიერებული აქვს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. კათედრას აქვს მზაობა, რომ შექმნას ისეთი ეფექტური შეფასების სისტემა, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი სეფასების რუბრიკები, სადაც გამოკვეთილია შეფასების მიზანი, კრიტერიუმები და ინდიკატორები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების მოდელი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს. მოსწავლეთა მიღწევების განსაზღვრისთვის გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმატი, მათ შორის ზეპირი, პრაქტიკული, რეფლექსიური და შემოქმედებითი მიდგომები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა გამოირჩევა ვალიდურობით, გამჭვირვალობით, ობიექტურობით, სანდოობითა და სამართლიანობით. **რჩევა:** მიზანშეწონილია, ყველა პედაგოგმა მოსწავლეებს დროულად და დეტალურად გააცნოს შეფასების კრიტერიუმები, ასევე ხელი შეუწყოს მათ ჩართულობას ურთიერთშეფასების

	პროცესში, რაც განამტკიცებს შეფასების გააზრებულობასა და სწავლაზე ორიენტირებულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	კათედრაზე შემუშავებულია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. მოსწავლეებმა წინასწარ იციან ამა თუ იმ დავალების შეფასების კრიტერიუმები, ქულათა გადანაწილება. განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად მასწავლებლები იყენებნ განმავითარებელ შეფასებას და სოლო ტაქსონომიას. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, სკოლა ცდილობს, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ათემატიკის კათედრას აქვს ბლოგი სადაც ატვირთულია როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტულ თემებზე გაწერილი შეფასების რუბრიკები. ქვეა განთავსებული რამდენიმე კომპლექსური დავალების შეფასების სქემაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია

	ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებელს შექმნილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ხოლო დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში ინდივიდუალური განმავითრებელი შეფასება. **რჩევა:** მასწავლებელმა შექმნას ყველა თემისთვის განასაზღვრებლი შეფასების რუბრიკა და არ იხელმძღვანელოს ზოგადი შეფასების რუბრიკით. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმღვანელი ელექტორონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენი ვადით.

სკოლა სამომავლოდაც და შენახავს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შეფასების მასალები.
მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
საგნობრივი კურიკულუმები;
შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
შესრულებული კომპლექსური დავალებები;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი სასწავლო რესურსი: სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული მოსწავლის სახელმძღვანელო. ასევე დამატებითი სასწავლო რესურსები: ვიდეო მასალა, სამეცნიერო ლიტერატურის ამონარიდები, ცენტრის მიერ ლიცენზირებული საგნობრივი შინაარსის ლიტერატურა, ინტერნეტ სტატიები და სხვა სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას გამოიყენება სწორედ ის სასწავლო რესურსები, რაც კურიკულუმშია მითითებული. **რჩევა**: სასურველია, მეტი დამატებითი რესურსები იქნას შერჩეული ამა თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებისთვის, რაც გაზრდის მოსწავლეთა ცნობიერების სფეროს და გაზრდის ასევე მათ მოტივაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია,**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებებში შემავალი საგნობრივი კურიკულუმით სწავლების **სამივე საფეხურზე** (დაწყებითი საბაზო და საშუალო) სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მატერიალური რესურსის სახით კი რუკებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი, ისე დამატებითი დამხმარე რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და სწავლების მიზნებთან შესაბამისობას. სასწავლო პროცესში ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად

	გამოყენებულია აუდიო-ვიზუალური მასალა, სამუშაო ფურცლები, ინტერნეტრესურსები და დიფერენცირებული დავალებები. ამის მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი და დამხმარე რესურსების ნუსხა, აგრეთვე, თემატური მატრიცის ნიმუში, განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალება, პროექტის გეგმა, გამოყენებული მასალები, მოსწავლეთა ნამუშევრები, ინგლისური ენის კლუბის მასალები, რაც ადასტურებს რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას სასწავლო პროცესის გამდიდრებისა და ეფექტიანობისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსები აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში. მეთოდური და საგანმანათლებლო ლიტერატურა, თანამედროვე ციფრული მასალები, აუდიო და ვიდეო რეპროდუქციები, ასევე ხელოვნების ნამუშევრების შექმნისთვის საჭირო ინვენტარი და მასალები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა სწავლებისა და სასწავლო შედეგების მიღწევას. სასწავლო სივრცე უზრუნველყოფს კომფორტულ პირობებს პრაქტიკული აქტივობებისთვის. მოსწავლეთა ნამუშევრების შენახვა განიხილება როგორც შემოქმედებითი პროცესის მხარდაჭერისთვის დამატებითი რესურსის შექმნა. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი საქმიანობის მრავალფეროვნებასა და განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოყენებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები. აქტიურად მუშაობენ პროექტებზე, ასრულებენ შემოქმედებითი პროდუქტის მქონე დავალებებს რა დროსაც იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებს. **რჩევა: კარგი იქნება წახალისდეს მოსწავლეთა მიერ სასწავლო რესურსების შექმნის იდეა.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. სპორტული აქტივობების თვალსაჩინოებისთვის მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, ვიდეო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით, რაც იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და მრავალფეროვნად წარმართვის საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისას მასწავლებელი იყენებს ელექტრონულს რესუსებს, რომელიც გაწერილი აქვს კურიკულუმში **რჩევა:** მასწავლებელმა მოსწავლეების დახმარებით შექმანს ელექტრონული რესუსრსი, რომელსაც გამოიყენებს სწავლებისას. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობების განხორციელება ეთანადებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს, რის მტკიცებულებასაც წარმოადგენს მათ მიერ შექმნილ კურიკულუმებში თემის შესაასწავლად დაფიქსირებული დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც პასუხობს იმ მოთხოვნებს რასაც სტანდარტი ითხოვს მოსწავლეთა სწავლებისა და მათი განვითარებისთვის. წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები აშკარაა აკმაყოფილებს იმას, რომ შეიქმნას სწორი პროდუქტი, რასაც სწორედ ვალიდაცია მოიაზრებს. მასწავლებლები ადასტურებენ, რომ საგნობრივი თემატიკის სწავლებისა და სტანდარტის შედეგის მისაღწევად თავად არჩევენ დამხმარე სასწავლო რესურსებს და უსადაგებენ განსახოციელებელ აქტივობებს, რომ მოსწავლემ მარტივად შეძლოს დავალების შესრულება, შექმნას სწორი მიმართულებისა და დავალების შესაბამისი პროდუქტი, გააკეთოს საჭირო დასკვნები.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი სასწავლო რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. გასაუბრების შედეგად გამოვლიდა, რომ რესურსების შერჩევისას მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ მის შესაბამისობას შუალედური მიზნების განსახორციელებლად, მოსწავლის დაცვისთვის - რომ არ მიიღოს გადაუმოწმებელი, არასწორი ინფორმაცია. ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** • სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის N1 ოქმს დანართის სახით ახლდეს გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამატებითი რესურსების ჩამონათვალი საგნებისა და საფეხურის მიხედვით.
უცხოური ენები	რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება საგნობრივ კათედრაზე შეთანხმების და რეკომენდაციის საფუძველზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა, რაც ადასტურებს რესურსების მიზნობრივ და პასუხისმგებლიან შერჩევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	არსებული დამატებითი სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია კონკრეტული საგნის სასწავლო გეგმასთან. რესურსების შერჩევის პროცესში აქტიურად არის ჩართული საგნის

	პედაგოგი. გამოყენებამდე აღნიშნული რესურსები განიხილება და მიიღება შეთანხმება სკოლის ადმინისტრაციულ სტრუქტურასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები შემუშავებულია საგნობრივ კათედრაზე, კათედრის წევრების ერთობლივი ჩართულობით. რესურსების შერჩევისას უმთავრესი ფაქტორი უსაფრთხოება, სასწავლო პროცესთან და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებთან შესაბამისობაა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	დამხმარე რესურსების ვალიდურობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნავს კათედრა, როგორც პედაგოგებმა შეხვედრის დროს არნიშნეს, რსურსის შერჩევისას ითვალისწინებენ მის უსაფრთხოებას, მოსწავლეთა ასაკს და იმას თუ რამდენად შეუწყობს ის სასწავლო მიზნების მიღწევას. ამას ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი რესურსის შეფასების სქემაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრების წევრების შეთანხმების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისშივე. სკოლა ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ დამხამარე რესუსრების ვალიდაცია ხორციელდება კათედრის წევრებთან შეთანხმების შედეგად. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ამ ეტაპზე სკოლის ბაზაზე არსებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების სწავლებისთვის არსებული მატერიალური რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. ისინი ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით და ხორციელდება შესაბამისი მატერიალური რესურსების მოხმარება/გამოყენება სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყობს სწავლის შედეგების მიღწევას. გამონაკლისს წარმოადგენს სადემონსტრაციო მაგიდის ცეცხლგამძლე ზედაპირი. ასევე გამწოვი კარადა, თუმცა მარტივი ექსპერიმენტების დროს გამოყოფილი აირების გაწოვას

	უზრუნველყოფს ლაბორატორიის მძლავრი სავენტილაციო სისტემა და ამ კუთხით მოსწავლეთა უსაფრთხოება დაცულია. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში მცირედი და მარტივად გამოსასწორებელი ხარვეზი სწრაფადვე გაასწორა სკოლის ადმინისტრაციამ, რომელთა შესაბამისობა ავტორიზაციის პროცესთან ექვემდებარება დათვალიერების პროცესს. ასეთი იყო სილით სავსე პატარა ტომრის მოთავსება სადემონსტრაციო მაგიდასთან, რამაც კიდევ უფრო უსაფრთხო გახადა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამოყენება სხვადასხვა მარტივი ექსპერიმენტული თუ კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს. ავტორიზაციის პროცესის ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციამ გამოთქვა მზაობა, დროულად მოაგვაროს აღნიშნული ნაკლოვანება და იმედია დროულად წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, წიგნადი ფონდი, წვდომა ინტერნეტთან). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სივრცის ამსახველი ფოტო მასალა. ამასთანავე, სკოლაში ვიზიტის დროს პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	გაკვეთილის ფარგლებში ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, იმუშაოს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, სასწავლო რესურსების გამოყენებით. ჯგუფის ზომა ინარჩუნებს ისეთ დონეს, რომელიც ხელს უწყობს ეფექტურ პროცესის ორგანიზებას და არ ზღუდავს სწავლის ხარისხს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას აქვს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური ბაზით, რაც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივი და ტექნოლოგიური რესურსებს. სასწავლო სივრცეები (დაფები, მერხები, სკამები) ადეკვატურად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სწავლების ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, რაც შესაძლებელს ხდის ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებისა.

	რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის შესაბამისად მოსწავლეთა საჭროებების გათვალისწინებით.
სპორტი	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზს და გარე სივრცეში განთავსებულ სპორტულ მოედანს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორია. მოსწავლეებს შეუძლიათ სრულყოფილად გამოიყენონ საგაკვეთილო პროცესის დროს. (წარმოადგინეს ფოტომასალა.) **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. საგნობრივი ექსპერტების საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმების

მიხედვით, სკოლას ჰყავს საჭირო ადამიანური რესურსი.სკოლამ წარმოადგინა შიდა კონკურსის დოკუმენტაცია, საკონკურსო კომისიის ოქმები და მასწავლებელთა დანიშვნის ბრძანებები, **შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
შეფასების ამსახველი მასალები
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
საგნობრივი კურიკულუმები;
შესრულებული კომპლექსური დავალებები;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების
სქემები;
გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია.;
შემაჯამებელი ტესტი, პროექტი, პრეზენტაცია;
სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმები;
რესურსების რეესტრი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასწავლო წლის განმავლობაშიმასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებიან მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. გაკვეთილებზე დაკვირვების სქემის მიხედვით სათანადო კრიტერიუმებისა და მახასიათებლების მიხედვით ხდება გაკვეთილების შეფასება. ხარისხის განვითარების ჯგუფი აქტიურად არის ჩართული გაკვეთილებზე დაკვირვების პროცესში. ჯგუფის წევრები აკვირდებიან მასწავლებლების სტატუსის შესაბამისი რაოდენობით ჩატარებულ გაკვეთილებს. თითოეული გაკვეთილის დასრულების შემდეგ პედაგოგები ჯგუფის წევრებისაგან იღებენ უკუკავშირს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასწავლო წლის განმავლობაში სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება ხდებოდა ეტაპობრივად. სკოლის ადმინისტრაცია მონიტორინგს უწევსა მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ თითოეულ აქტივობას. მათ ეძლევათ სათანადო რეკომენდაციები და უკუკავშირი. სკოლა აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო წლის ბოლოს მოხდება სკოლის საქმიანობის, მიღწეული შედეგებისა და მომავლის ამოცანების პედადაგოგიურ საბჭოს სხდომაზე წარდგენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში შექმნილია განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის დანერგვის შემდეგ წინასწარ შემუშავებული მექანიზმის მიხევდით მოახდენს მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმის სასწავლო პროცესში განხორციელების მონიტორინგს, შეფასებას და გაუწევს რეკომენდაციას. მასწავლებელი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შემდეგ მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გააკეთებს ანალიზს და გამოავლენს ძლიერ და სუსტ მხარეებს. შემდეგ განიხილება კათედრაზე მონიტორინგის ჯგუფთან ერთად და დაიგეგმება უფრო მეტად მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

განხორციელებული შეფასებების ანალიზი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: მასწავლებლის დაკვირვება, კოლეგებისგან, დამრიგებლისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან, თემისგან მიღებული ინფორმაცია. დამრიგებლის ,მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, სასწავლო ნაწილის ,ურთიერთ დაკვირვებისა და დასწრების ,მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის, ინკლუზიური განათლების ,არაფორმალური განათლების მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციებზე დაყრდნობით შეიქმნება მომავალი სასწავლო პროცესის შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, მოსწავლის პიროვნული განვითარების პროცესზე ფოკუსირების მისცემს სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში თითოეული მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა: ხდება განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, მოსწავლის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, პროგრესი და რეგრესი, გარემო კლიმატი, ურთიერთობები თანატოლებთან და ყოველივეს გათვალისწინებით ხდება შეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა სამომავლოდ ჩაატარებს კვლევას რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით: მოვახდენთ მოსწავლეთა უნარების დიფერენცირებას (დაკვირვება, ფოკუს ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ მოსწავლესთან, ,,ანონიმური წერილების ყუთი") **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მომავალში შეფასება მოხდება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსების უქონლობა, ფსიქო-ემოციური ფონი, მოვახდენთ მოსწავლეთა უნარების და ინტერესების დიფერენცირებას,რომელიც გათვალისწინებ წლის ული იქნება მომავალი კურიკულუმის შემუშავების დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შფასების ანალიზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სკოლაში ახალი სასწავლო წლიდან შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვილი გამოცდილება, ინტერვიუები, რეფლექსიები(ჩატარებული გაკვეთილის, კომპლექსური დავალების, პროექტის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ჩატარებული კომპლექსური დავალების). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია, რომელზეც ახლა მუშაოებენ მასწავლებლები, რა თქმა უნდა ეფუძნება წინარე გამოცდილებას. მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, მოხდება მიღებული დასკვნების განხილვა და დაიგეგმება პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები კათედერების მიერ შეკრებილი რევიზირებულ ვერსიებში მასწავლებლის, მოსწავლის, მშობლის ჩართულობით დაიგეგმება მომავალი საწავლო წლის კურიკულუმი და აიასხება რევიზირებულ ვერსიებში

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

წლიური სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 13.08. 2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: